100 წელი

# შირაქი

SHIRAKI

გამოდის 1937 წლიდან
დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის გაზეთი

№19 (9.828)
26 მაისი-2 ივნისი 2018 წელი

ფასი: 50 თეთრი
ყოველკვირეული გამოცემა

## პურის, ღვინის და ფოლკლორის ფესტივალი



გვ.3-8




„სული მიკანკალებს და გული თავისუფლების ეშხით მიწყებს მღერას! ქართული დროშები ისე მშვენივრად, ისე გალაღებულად ფრიალებენ, რომ რაღაცა თრთის ჩემს არსებაში! ბუნებაც, თითქოს, თანაუგრძნობს ზეიმს, მზე უხვად ასაჩუქრებს დედამიწას სხივმოსილი ისრებით... რადგანაც საქართველომ გაწყვიტა ჯაჭვი მონობის, რადგანაც საქართველო სუნთქავს, რადგანაც საქართველომ დამოუკიდებლობა გამოაცხადა! და ამ წუთებში, ვგრძნობ და ვკითხულობ ამას ისე, როგორც არასდროს – რა არის უმაღლესი და ულამაზესი სამშობლოსადმი სიყვარულის გრძნობისა?

მარო მაყაშვილი – 1918 წლის 26 მაისი





**დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის მერია აცხადებს ღია კონკურსს შემდეგ ვაკანტურ თანამდებობებზე:**

1. მეოთხე რანგის 1-ლი კატეგორიის უმცროსი სპეციალისტი სოფელ არხილოსკალოს ადმინისტრაციულ ერთეულში.
2. მეოთხე რანგის 1-ლი კატეგორიის უმცროსი სპეციალისტი სოფელ ხორნაბუჯის ადმინისტრაციულ ერთეულში.
3. ეკონომიკისა და ქონების მართვის სამსახურის მესამე რანგის მეორე კატეგორიის უფროსი სპეციალისტი ეკონომიკურ საკითხებში.

განცხადებების რეგისტრაცია სწარმოებს ელექტრონულად, საჯარო სამსახურის ბიუროს მიერ ადმინისტრირებულ ვებგვერდზე www.hr.gov.ge

განცხადების რეგისტრაციის ბოლო ვადა მიმდინარე წლის 2 ივნისის ჩათვლით.

## როგორ დავამარცხოთ ბულინგი?

გვ.5



## წერილი მსოფლიოს!



გვ.6

C M Y K

# ისტორიული სამსჯავრო — სასამართლო, რომლის დასრულებასაც საქართველო 10 წელი ელოდა

სტრასბურგის სასამართლო გადაწყვეტილების გამოსატანად გავიდა ჩვენთვის ისტორიულ სასამართლო საქმეზე - “საქართველო რუსეთის წინააღმდეგ”, საქმე №2, რომელიც 2008 წლის აგვისტოში რუსეთის მხრიდან ჩადენილ დანაშაულს ეხება - ქართველების წამებას, არაადამიანურ მოპყრობას, მკვლელობას, ეთნიკურ წმენდას, სახლების დაწვას. საქართველოს ერთ-ერთი მთავარი მტკიცებულებაა საომარი მოქმედების დასრულების შემდეგ, 12 აგვისტოს, გორში რუსული ბალისტიკური რაკეტის - “ისკანდერის” ჩამოგდებაც, რაც საერთაშორისო სამართლით აკრძალულია და რასაც 12 მშვიდობიანი მოქალაქის დაღუპვა მოჰყვა, მათ შორის ერთი ჰოლანდიელი ოპერატორიც იყო.

რუსულ ბომბებს გადარჩენილი მოსახლეობა ისტორიული გადაწყვეტილების მოლოდინშია. გორის მცხოვრებლები 2008 წლის 8 აგვისტოს იხსენებენ და ევროსასამართლოს გადაწყვეტილებას ელოდებიან. დაზარალებული ოჯახები და მათი ახლობლები დარწმუნებულები არიან, რომ რუსული აგრესიის სისასტიკეს ევროპული სასამართლო ადეკვატურ პასუხს გასცემს.

საქართველოს მხარეს, როგორც ადვოკატები აცხადებენ, სტრასბურგის სასამართლოსთვის წარდგენილი აქვს 700-ზე მეტი ნივთმტკიცებულება.

იუსტიციის სამინისტროს წარმომადგენელმა განაცხადა, რომ ერთ-ერთი მთავარი მტკიცებულება იქნება რუსეთის მხრიდან გორში ბალისტიკური იარაღის გამოყენების ფაქტი. რუსეთი საპასუხოდ აცხადებს, რომ ქართველებმა დაბომბეს “მძინარე ცხინვალი”, ისინი კი ოსებს იცავდნენ, არ არსებობს მტკიცებულება, ვინ წაუკიდა სახლებს ცეცხლი, არც წამება მომხდარა და არც “ისკანდერი” ჩამოუგდიათ დასახლებულ პუნქტზე - ეს ფაქტიც და შემთხვევის ადგილიც ფალსიფიკაციაა, ბრალდებები კი - დიდი ანტირუსული კამპანია. ამ სასამართლოს დასრულებას საქართველო, 10 წელია, ელოდება. ეს საქმე არა მარტო საქართველოსთვის, არამედ რუსეთისთვისაც დიდი მნიშვნელობისაა, ამიტომაც უკვე ითქვა, რომ რუსეთი ცდილობს საჯაროდ და დახურულ ფორმატში ლობირებას, რათა სასამართლომ გადაწყვეტილება მოსკოვის სასარგებლოდ მიიღოს. საქართველოს სახელმწიფოს ადვოკატ ბენ ემერსონის განცხადებით, რუსეთი ევროპის ადამიანის უფლებათა კონვენციიდან გამოსვლითა და სასამართლოს დაფინანსების შეწყვეტით იმუქრება, თუ გადაწყვეტილება მის წინააღმდეგ იქნება. ადამიანის უფლებათა სასამართლოს 17 მოსამართლე საბოლოო გადაწყვეტილებას რამდენიმე თვეში გამოაცხადებს და, რუსული შანტაჟის მიუხედავად, თბილისში ყველა, ოპოზიციაც და მმართველი გუნდიც, პოლიტოლოგებიც დარწმუნებულები არიან, რომ გადაწყვეტილება საქართველოს სასარგებლო იქნება, რუსეთი კი გამტყუნდება და დიდი კომპენსაცია დაეკისრება.

პოლიტოლოგების შეფასებით, კომპენსაციის დაკისრებასთან ერთად, ამ საქმის წაგება რუსეთისთვის მწარე პოლიტიკური სილის გაწვნაც იქნება. სტრასბურგის სასამართლოს დიდი პალატის 17 მოსამართლის წინაშე ჯერ საქართველოს სახელმწიფოს ბრიტანელი ადვოკატი ბენ ემერსონი გამოვიდა, შემდეგ - რუსეთის სახელმწიფოს ადვოკატი. ბენ ემერსონმა განაცხადა, რომ რუსეთი აგვისტოს ომამდეც აკონტროლებდა ცხინვალის რეგიონს, ომისთვის 2008 წლამდე ემზადებოდა და აშკარაა ეთნიკური წმენდის ფაქტები. მან სასამართლოს ქართული მხარის მტკიცებულებები წარუდგინა. საქართველოს რუსეთის დანაშაულის 700-ზე მეტი მტკიცებულება აქვს წარდგენილი. “რუსმა სამხედრო მოწმეებმა უარყვეს, რომ შეტევაზე რაიმე სახის პასუხისმგებლობა ეკისრებოდათ, მაგრამ “ისკანდერების” ფრაგმენტებზე ამოცნობილია რუსული ნომრები. ევროსაბჭოს წევრი ქვეყანა ცდილობს, დაარწმუნოს მთელი მსოფლიო, რომ ამავე ორგანიზაციის წევრი სახელმწიფოს ტერიტორიაზე რაკეტების ჩამოგდების ფაქტი სიყალბე და ანტირუსული პროპაგანდის ნაწილია, დანაშაულის ადგილი კი გამოგონილია რუსეთისთვის ბრალის წასაყენებლად. მათ კარგად იცოდნენ, რომელი “ისკანდერი” გაისროლეს, მაგრამ თავისუფლად შეეცადნენ თქვენს მოტყუებას”, - განაცხადა საქართველოს სახელმწიფოს ადვოკატმა. ამის შემდეგ რუსული მხარე ორი მოპასუხით გამოვიდა და ქართული მხარის მიერ წარდგენილ ყველა მტკიცებულებას “ფალსიფიკაცია” უწოდა”.

„მნიშვნელოვანია, ვაღიაროთ საქართველოს ძალების მხრიდან ცხინვალზე განხორციელებული ბარბაროსული თავდასხმის შედეგები, მაგრამ საქართველომ საპირისპირო ფაქტები წარმოადგინა. რუსეთის ძალები ქართველი მოსახლეობის დაცვას ცდილობდნენ”, - განაცხადა რუსეთის იუსტიციის მინისტრის მოადგილემ. სტრასბურგში საქართველო რუსეთს ადანაშაულებს ევროპული კონვენციის 8 მუხლის დარღვევაში, კერძოდ, რუსეთმა დაარღვია: სიცოცხლის უფლება, წამების, არაადამიანური ან ღირსების შემლახველი მოპყრობის აკრძალვა, თავისუფლებისა და უსაფრთხოების უფლება, პირადი და ოჯახური ცხოვრების დაცულობის უფლება; სამართლებრივი დაცვის ქმედითი საშუალების უფლება; საკუთრების დაცვა; განათლების უფლება; მიმოსვლის თავისუფლება. სახელმწიფოთაშორის დავა ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს დიდმა პალატამ განიხილა, რომელიც 17 ქვეყნის არჩეული მოსამართლეებითაა დაკომპლექტებული. მოსამართლეებს შორის არის საქართველოს წარმომადგენელი ლადო ჭანტურია, ასევე, რუსეთის წარმომადგენელი დმიტრი დედოვი”.

ღია მოსმენის დასრულების შემდეგ გამოითქვა კომენტარებიც. თბილისში აცხადებენ, რომ რუსულ მხარეს არგუმენტი არ ჰქონდა. ქართული მხარე სახელმწიფო ადვოკატის გამოსვლით კმაყოფილია. ადვოკატ ბენ ემერსონის შეფასებით, მოსალოდნელი იყო, რომ რუსეთის მთავრობა შეეცდებოდა, დაემტკიცებინა, რომ მათ მიერ ჩადენილი სამხედრო დანაშაული გაყალბებულია. “ეს არის სასოწარკვეთილი გუნდის და ადვოკატის უკანასკნელი ბერკეტი, რომ დაადანაშაულოს ყველა და თქვას, რომ მტკიცებულებები გაყალბებულია”, - აცხადებს ადვოკატი ემერსონი.

ამ საქმეს ექნება მნიშვნელობა არა მარტო საქართველოსთვის, არამედ ევროპის ფარგლებში სხვა კონფლიქტებისთვის - უკრაინასა და მოლდოვაში. რუსული მხარისგან, არგუმენტების ნაცვლად, ჩვენ მოვისმინეთ გაშარჟებულ-გაყალბებული ნარატივი ისტორიის შესახებ და ერთადერთი პასუხი, რომ რაც საქართველომ წარმოადგინა, არის სიყალბე, შეთქმულება რუსეთის ფედერაციის წინააღმდეგ. ეს ყველაფერი მიუთითებს იმაზე, რომ რუსეთის ფედერაციას დღეს არგუმენტი საერთოდ არ ჰქონდა”, - განაცხადა ლორთქიფანიძემ. განცხადება გაავრცელა რუსეთის იუსტიციის სამინისტრომაც. მასში ნათქვამია, რომ ქართული მხარის ბრალდებები უსაფუძვლოა და არ დასტურდება 2008 წლის ომში რუსეთის შეიარაღებული ძალების მიერ საქართველოს მოსახლეობის უფლებების დარღვევები. რუსეთის იუსტიციის სამინისტრო, ასევე, აცხადებს, რომ რუსი სამხედროები სამხრეთ ოსეთის მოსახლეობას ქართული ჯარის თავდასხმისგან იცავდნენ. თბილისში ოპოზიციაც და მმართველი გუნდიც აცხადებენ, რომ საქართველოს ტერიტორიების ოკუპაცია აღიარებულია საერთაშორისო დონეზე, თუმცა ახლა მნიშვნელოვანია პოლიტიკურად აღიარებული ოკუპაციის სამართლებრივად დადასტურებაც. სტრასბურგის სასამართლოს საბოლოო განაჩენის მოლოდინში თბილისში უკვე დაიწყეს ფიქრი იმ გზებზე, როგორ უნდა მოხდეს 2008 წლის ომის დროს რუსეთის მიერ ჩადენილი დანაშაულის გამო სტრასბურგის მიერ რუსეთზე დაკისრებული ვალდებულებების აღსრულება, რადგან არის მოლოდინი, რომ რუსეთი, როგორც 2006 წლის ქართველების დეპორტაციის საქმეზე არ აპირებს კომპენსაციის გადახდას, იგივე განმეორდება ახლაც.

# ქართველების მიერ რუსეთის წინააღმდეგ 1907 წელს დაწერილ პეტიციას BBC ეხმიანება



ეს იყო პირველი შემთხვევა, როდესაც საქართველოს მასშტაბით ხალხმა უფლებებზე დაიწყო ლაპარაკი- ასე ეხმიანება ქართველების მიერ რუსეთის წინააღმდეგ 1907 წელს დაწერილ პეტიციას BBC.

გამოცემა წერს, რომ 111 წლის წინ შექმნილი პეტიცია, რუსეთის მხრიდან 1783 წლის გიორგიევსკის ტრაქტატის დარღვევასა და ანექსიას ეხება და მას ხელს 3000 კაცი და ქალი აწერს.

გამოცემის ცნობით, პეტიცია 1907 წელს ჰააგის საერთაშორისო კონფერენციაზე წარადგიდეს. პეტიციის ავტორი ქართველი ნაციონალისტი ვარლამ ჩერქეზიშვილი იყო, რომელიც 1870 წელს ციმბირის გადასახლებიდან გაიქცა და ლონდონში დასახლდა, სადაც იგი სერ ოლივერი და მარჯორი უორდროპებს დაუმეგობრდა.

24 მარტს ოქსფორდის უნივერსიტეტის მიწვეულმა მკვლევარმა და პროფესორმა ბექა კობახიძემ და უნივერსიტეტის ბოდლიანის ბიბლიოთეკის ორიენტალური განყოფილების უფროსმა ჯილიან ევისონმა ქართველი ხალხის საუკუნოვან პეტიციას მიაგნეს.

# „ღამე მუზეუმში“ და ფოტოგამოფენა „ძველი და ახალი დედოფლისწყარო“



19 მაისს საქართველოს პირველი დემოკრატიული რესპუბლიკის 100 წლის იუბილისადმი მიძღვნილი კვირეულის ფარგლებში, დედოფლისწყაროს მხარეთმცოდნეობის მუზეუმში გაიმართა შეხვედრა „ღამე მუზეუმში“, რომელიც მთელი საქართველოს მასშტაბით აღინიშნა. დედოფლისწყაროს მხარეთმცოდნეობის მუზეუმის დარბაზში შაბათ საღამოს უამრავმა სტუმარმა მოიყარა თავი. საღამო გახსნა მუზეუმის დირექტორმა ქალბატონმა ლალი გურასპაულმა, რომლის შემდეგ ეკრანზე აჩვენეს კინოფილმი „ლაზარე“. აქვე მოეწყო ჟურნალ „ხორნაბუჯის“ პრეზენტაცია, მოგვეხსენება ჟურნალი ალმანახის სახით წელიწადში ორჯერ გამოიცემა, ის საკმაოდ მაღალი პოლიგრაფიული გაფორმებით გამოირჩევა და საქართველოში მოღვაწე მწერლების და საზოგადო მოღვაწეების სტატიებს, ლექსებს თუ მოთხრობებს აერთიანებს. მოგვეხსენება ჟურნალი „ხორნაბუჯის“ რედაქტორი ჩვენი თანამემამულე ბატონი გიორგი ნატროშვილია.

23 მაისს მხარეთმცოდნეობის მუზეუმი, კვლავ ჩვენი საზოგადოების დაინტერესებული ფენის სტუმარია. ამჯერად მუზეუმმა ფოტოგამოფენა მოაწყო სახელწოდებით „ძველი და ახალი დედოფლისწყარო“. გამოფენაზე არც ველოდი, თუ ამდენად საინტერესო აღმოჩნდებოდა იგი. მუზეუმში დაცული ექსპონატი ფოტოების გასწვრივ ჩვენ ვხედავდით ანალოგიური შენობის, ქუჩის თუ დაწესებულების ძველ და ახლანდელ სახეს. ეს საკმაოდ საინტერესო აღმოჩნდა, დამთვალიერებლის საკმაოდ დიდ ნაწილს გაუჭირდა, ძველი ფოტომასალიდან შენობების ამოცნობა, თუმცა, როდესაც ახლანდელ ფოტოს შეხედავდნენ -ხოლმე, მაშინვე ხვდებოდნენ რომელი ქუჩა იყო ნაგულისხმევი ძველ ფოტოში. განსხვავება საკმაოდ დიდი გახლდათ. ბევრი შენობის სახე საკმაოდ შეცვლილია, მაგალითად, ძველი რაიკომის შენობა და ახლანდელი მუნიციპალიტეტის მერიის შენობა საგრძნობლად განსხვავებულია, განსხვავებულია მის გარშემო არსებული გარემოც. გამოფენა მეტად ვრცელი და შრომატევადი დასათვალიერებელია, თუმცა ეს გახლავთ ერთ წამში გაჩერებული სივრცე, რომელიც დედოფლისწყაროს კულტურულ-ეკონომიკურ თუ ინფრასტრუქტურულ ისტორიას უსიტყვოდ, მაგრამ, დამერწმუნეთ ,მრავლისმთქმელად ყვება.

მიმაჩნია, რომ ის, ვინც ქალაქ დედოფლისწყაროს სიყვარულს გულით დაატარებს, არ შეიძლება აღნიშნული ფოტოგამოფენა არ დაათვალიეროს. სიტყვები უძლურია, უბრალოდ ეს ყველამ უნდა ნახოს!

ლალი მეხრიშვილი



# ულოცავენ!

26 მაისს საქართველო დამოუკიდებლობის 100 წლის იუბილეს აღნიშნავს. გილოცავთ, მეგობრებო.

საუკუნეების მანძილზე ჩვენი ქვეყანა თავისუფლებისთვის ბრძოლით მოვიდა დღემდე. ისტორიის ამ გრძელ და ეკლიან გზაზე ბევრი იყო მარცხიცა და გამარჯვებაც. 26 მაისი სწორედ ერთ-ერთი ასეთი დიდი გამარჯვების დღეა - 100 წლის წინ საქართველოს ეროვნულმა საბჭომ ქვეყნის სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობა გამოაცხადა, რომელმაც რუსეთის ოკუპაციის გამო არსებობა არასრული სამი წლის თავზე შეწყვიტა... სუვერენიტეტის დაკარგვიდან 70 წლის შემდეგ, 1991 წელს , საქართველო სწორედ პირველი დემოკრატიული რესპუბლიკის სამართალმემკვიდრე გახდა...

დღეს ჩვენი ქვეყანა განსხვავებული რეალობის წინაშე დგას- საქართველო დამოუკიდებელია და მტკიცე ნაბიჯებით მიისწრაფვის ევროატლანტიკური ალიანსისა და ევროპული ოჯახისაკენ.

ამ მიმართულებით მუშაობა რეგიონების დონეზეც უკვე აქტიურად მიმდინარეობს.. მე, როგორც დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის მერმა, სულ ახლახანს ხელი მოვაწერე კახეთის რეგიონში ევროატლანტიკური კლუბის შექმნის დებულებას, რომლის მიზანიც კახეთის მასშტაბით ევროინტეგრაციის პროცესთან დაკავშირებულ საკითხებზე სხვადასხვა აქტივობების განხორციელლება, ნატოსა და ევროკავშირის შესახებ ცნობადობის ამაღლება და ევროატლანტიკური სტრუქტურების მიმართ მხარდაჭერისა და ნდობის გაზრდაა.

მარტში ჩვენ ასევე შევუერთდით ,,მერების შეთანხმებას“, რომელიც ევროკავშირის ფართომასშტაბიანი ინიციატივაა. აღნიშნული შეთანხმების ფარგლებში ავიღეთ ვალდებულება, გავზარდოთ ენერგოეფექტურობა და განახლებადი ენერგიის გამოყენება. ეს ნიშნავს, რომ მთელ ცივილურ სამყაროსთან ერთად ვიზრუნებთ კლიმატის ცვლილების ეფექტების შერბილებისა და თანამედროვე, ალტერნატიული ენერგიის ხელმისაწვდომობის გაზრდისთვის. ამას ჩვენ პარტნიორი სახელმწიფოების გამოცდილების გაზიარებითა და ეკონომიკური მხარდაჭერით გავაკეთებთ.

ძალიან მნიშვნელოვანია ისიც, რომ .დედოფლისწყარო შეუერთდა ევროკავშირის პროექტს ,,მერები ეკონომიკური ზრდისთვის“, რომელიც მიზნად ისახავს აღმოსავლეთ პარტნიორობის ქვეყნების მუნიციპალიტეტების მხარდაჭერას , რაც გულისხმობს მათ დახმარებას ეკონომიკურ განვითარებასა და ახალი სამუშაო ადგილების შექმნაში.

ეს არ არის ყველაფერი, რასაც ევროპულ და ევროატლანტიკურ სტრუქტურებთან დასაახლოვებლად ვაკეთებთ და ამ შრომის შედეგს თითოეული მოქალაქე ახლო მომავალში დაინახავს. ვფიქრობ, რომ ჩვენს მიერ გადადგმული ეს ნაბიჯები ეკონომიკურ სიძლიერესთან ერთად იმ დამოუკიდებლობის მყარი გარანტიაცაა, რომლის 100 წლოვან იუბილესაც დღეს აღვნიშნავთ.

აქვე არ შემიძლია არ აღვნიშნო კიდევ ერთი თარიღის შესახებ-26 მაისი სამშობლოს თავისუფლებისთვის მებრძოლი მამულიშვილის, საქართველოს ეროვნული გმირის, მერაბ კოსტავას დაბადების დღეცაა. ასეთმა შეუპოვარმა და გაუტეხელმა მებრძოლებმა მოიტანეს დღემდე საქართველო, სწორედ ასეთ გმირებზე დგას ჩვენი სახელმწიფო და მათი დაუფასებლობისა და დავიწყების უფლება არ გვაქვს .

კიდევ ერთხელ გილოცავთ საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის 100 წლის იუბილეს. გისურვებთ ძლიერ და გამთლიანებულ საქართველოში ცხოვრებას.

**პატივისცემით,**
ნიკოლოზ ჯანიაშვილი,
**დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის მერი**

---

26 მაისს საქართველოში დამოუკიდებლობის დღე აღინიშნება. წლევანდლი 26 მაისი კი განსაკუთრებული იმითაა, რომ ამ ულამაზეს დღესასწაულს 100 წელი უსრულდება. ზუსტად საუკუნის წინ საქართველოს ეროვნულმა საბჭომ რუსეთის იმპერიისგან დამოუკიდებლობა გამოაცხადა. დამოუკიდებლობის აქტის პირველ პუნქტში ეწერა : „ამიერიდან საქართველოს ხალხი სუვერენულ უფლებათა მატარებელია და საქართველო სრულუფლებიანი დამოუკიდებელი სახელმწიფოა“. ეს იყო უამრავი პატრიოტისთვის საოცნებო და სანატრელი სიტყვები, რომლის აღსრულებასაც წინ უძღოდა იმპერიასთან მრავალწლიანი ბრძოლა.

ვთვლი, რომ დამოუკიდებლობის დღე ქვეყნის მთავარი დღესასწაულია, რომელიც ქვეყნის ყველა მოქალაქეს აერთიანებს. დამოუკიდებლობა, ეს თავისუფლებაა, თავისუფლება კი კაცობრიობის ყველაზე დიდი მონაპოვარია. ხოლო ამ მონაპოვარის დაცვა არა მხოლოდ ხელისუფლებების, არამედ მთელი ერის საზრუნავია. ისტორიული ბედუკუღმართობით, პირველი დემოკრატიული რესპუბლიკის შენარჩუნება ვერ მოხერხდა. მაშინდელი ცივილური სამყარო მზად არ აღმოჩნდა წინააღმდეგობა გაეწია რუსეთის ოკუპაციისთვის და დაეცვა ანექსირებული სახელმწიფოები. დღევანდელი საქართველო კი ისევე, როგორც ცივილური სამყარო, გაცილებით ძლიერია . ჩვენი ნება , რომ ვიყოთ ამ სამყაროს ნაწილი, ურყევია და ევროპული და ევროატლანტიკური სტრუქტურების მიერ გამოწვდილი ხელიც უფრო მყარი.

ჩემი აზრით, ის, რაც მოპოვებული დამოუკიდებლობის სიხარულს გარკვეულწილად აფერმკრთალებს, დროებით ოკუპირებული ტერიტორიებია. ეს არა მხოლოდ ჩემი, არამედ ჩვენი ქვეყნის თითოეული მოქალაქის ტკივილია. სიტყვა ,,დროებითი“ შემთხვევით არ მიხსენებია, რადგან ჩვენ აუცილებლად დავიბრუნებთ აფხაზეთსა და სამაჩაბლოს. ამისათვის კი ქვეყნის ეკონომიკურად კიდევ უფრო გაძლიერებაა საჭირო. მჯერა, ევროკავშირთან მჭიდრო ურთიერთობებითა და მუხლჩაუხრელი შრომით ჩვენი ოცნება რეალობად იქცევა და ის 26 მაისიც გაგვითენდება, რომელსაც ერთიან საქართველოში ვიზეიმებთ. ჩემს თავს და თითოეულ თქვენგანს ვუსურვებ, რომ ეს დღე მალე დადგეს.

საქართველოს დამოუკიდებლობის დღეს გილოცავთ. მშვიდობიან, ბედნიერ და ერთიან საქართველოს გისურვებთ.

**პატივისცემით,**
ნუგზარ პაპიაშვილი, **დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე**

---

ჩემო თანამემამულენო!

გილოცავთ საქართველოს დამოუკიდებლობის დღეს!

26 მაისი უმნიშვნელოვანესი თარიღია საქართველოსთვის. მთელი ჩვენი ისტორია ჩვენი დიდი წინაპრების თავგანწირული და ერთგული ბრძოლაა სამშობლოსთვის. საუკუნეების განმავლობაში სამშობლოს თავისუფლება და დამოუკიდებლობა იყო ის მთავარი იდეა და საყრდენი, რაზეც იდგა ქართველი ერი. თაობიდან თაობას გადაეცემოდა დამოუკიდებლობის მოპოვებისა და სამშობლოს გათავისუფლების იდეა. ამ იდეისთვის იბრძოდნენ სამშობლოსთვის თავდადებული გმირები და მათ ბრძოლას უკვალოდ არ ჩაუვლია - 100 წლის წინ, 1918 წლის 26 მაისს, ასრულდა ყველა ქართველის სანუკვარი ოცნება და ჩვენმა ქვეყანამ დამოუკიდებლობა მოიპოვა.

მაშინ, საქართველოს დამოუკიდებლობა დიდხანს ვერ გაგრძელდა. თუმცა, ჩვენს ხალხს არ შეუწყვეტია ფიქრი სამშობლოს დამოუკიდებლობაზე. ყველა თაობა გულით და გონებით ატარებდა ამ იდეას.

დღეს საქართველო დამოუკიდებელი ქვეყანაა. ჩვენი ვალია გავუფრთხილდეთ ამ მონაპოვარს და, რადაც არ უნდა დაგვიჯდეს, დავიცვათ ჩვენი ქვეყნის სუვერენიტეტი. ჩვენ დიდი ისტორიის ერი ვართ. ისტორიულად ჩვენ ევროპული ცივილიზაციის ნაწილი ვართ და ამიტომაც უნდა ავაშენოთ ევროპული ტიპის, დემოკრატიული სახელმწიფო, ისეთი, როგორიც ჩვენს ქვეყანას და ჩვენს ხალხს ეკადრება. ცივილიზებული სახელმწიფოს ძლიერება, პირველ რიგში, ძლიერი დემოკრატიული ინსტიტუტებია, რომელთა განვითარება და ხელშეწყობა ხელისუფლების ვალდებულებაა. სახელმწიფომ უნდა უზრუნველყოს კანონის უზენაესობა და კანონის წინაშე ყველა მოქალაქის თანასწორობა. თითოეული ადამიანის თავისუფლება და მისი უფლებების დაცვა დემოკრატიული ქვეყნის უმთავრესი ღირებულებაა და ჩვენ ყველაფერს ვაკეთებთ იმისათვის, რომ ეს ღირებულებები საქართველოში იყოს დაცული.

წლევანდელი 26 მაისი განსაკუთრებულია - ჩვენი ქვეყნის დამოუკიდებლობის დღეს ახალი იმედებით ვხვდებით.

ჩვენ ყველანი მონაწილე ვართ იმ ისტორიული პროცესებისა, რომლებიც სინამდვილედ აქცევს ჩვენი დიდი წინაპრების, ჩვენი ხალხის სანუკვარ ოცნებას. საქართველო უახლოვდება ევროპულ სივრცეს და ეს პროცესი შეუქცევადია.

ჩვენი ქვეყნის განვითარება პოლიტიკურ და ეკონომიკურ სიკეთესთან ერთად, თითოეული ადამიანის ცხოვრებაზეც სასიკეთოდ აისახება. მჯერა, სწორედ ასე შემოვაბრუნებთ ჩვენს ოს და აფხაზ ძმებს ჩვენსკენ და აუცილებლად დადგება დღე, როცა ჩვენ ისევ ვილაპარაკებთ ერთ ენაზე, ისევ ვიცხოვრებთ გამთლიანებულ და ძლიერ საქართველოში, ჩვენს საერთო სამშობლოში!

ჩვენი ვალია, დავიცვათ ჩვენი სამშობლოს დამოუკიდებლობა და მომავალ თაობებს დავუტოვოთ თავისუფალი, დემოკრატიული და წელგამართული ქვეყანა.

კიდევ ერთხელ ყველას გილოცავთ საქართველოს დამოუკიდებლობის დღეს!

**პატივისცემით,**
ირაკლი შიოლაშვილი,
**საქართველოს პარლამენტის წევრი**

---

# პურის, ღვინის და ფოლკლორის ფესტივალი

**საქართველოს დამოუკიდებლობის 100 წლისთავისადმი მიძღვნილი ღონისძიებების კვირეული დედოფლისწყაროში 26 მაისს ტრადიციულად პურის, ღვინისა და ფოლკლორის ფესტივალით დასრულდა. უკვე რამდენიმე წელია ყველა სოფელი საკუტარ ტრადფიციებს ქალაქის ცენტრალურ ქუჩაზე წარმოადგენს. ბოლო სამი წელია კი მას დაემატა სლოგანი „წარმოებულია დედოფლისწყაროში“, ამ შემთხვევაში ადგილობრივი საწარმოები ცდილობენ საკუთარი პროდუქციის პოპულარიზაცია და გამოფენა-გაყიდვა მოაწყონ. ასე იყო წელსაც.**

ნიკოლოზ ბენიაიძე (შირაქის რძის პროდუქტები): „როგორც ყოველთვის ამჯერადაც წარმოდგენილი ვართ რძის პროდუქტებით, მაგრამ წელს ასევე წარმოვადგინეთ პატარა ხბოები, რომლებიც სიახლეა ჩვენი კომპანიისთვის. უკვე მეთერთმეტე წელი დაიწყო, რაც ჩვენი კომპანია ამ სფეროში მუშაობს და გარკვეულ წარმატებას მიაღწია. თავდაპირველად ერთი ტონა რძის გადამუშავებით დავიწყეთ წარმოება, დღეს კი 10 ტონას ვამუშავებთ. მაშინ ერთი სახეობის სულგუნს ვაწარმოებდით, დღეს კი უკვე ოცზე მეტი სახეობის პროდუქცია გვაქვს. ყველა მათგანი დღეს „წარმოებუილია დედოფლისწყაროს“ ფარგლებში აქ გამოვფინეთ.

**- ვიცი, რომ ექსპორტზე გასატანად აქტიურად მუშაობთ...**

- ამჟამად ჩვენი პროდუქცია საფრანგეთში იყიდება, მაგრამ ეს არ ხდება ოფიციალურად ექსპორტის სახით. ეს არის ემიგრანტების მოთხოვნა და მიწოდება გარკვეული რაოდენობით, რაც ნებადართულია კანონმდებლობით. თუმცა, ასოცირების ხელშეკრულების საფუძველზე ჯერ საქართველო რძის პროდუქტების გატანას არ ახდენს. გარკვეული ბარიერები არსებობს, რომელიც უნდა დავძლიოთ, ხელისშემშლელი გარემოებები გამოვასწოროთ და ალბათ ისინიც უნდა დაგვეხმარნენ, რომ საქართველომ დროულად შეძლოს რძის პროდუქტების გატანა. განსაკუთრებით სულგუნი, რომელიც ტრადიციულია, სხვადასხვა სახეობისაა, დაპატენტებული აქვს საქართველოს და დიდი მოთხოვნაა მასზე. დეგუსტაციაზე როდესაც გაგვაქვს, ძალიან დიდ მოწონებას იმსახურებს ყოველთვის.

**- ერთ-ერთი პირველი იყავით, ვინც დედოფლისწყაროდან ბიო სერტიფიკატი მოიპოვა, ხარისხის გაუმჯობესება რატომ არის თქვენი პრიორიტეტი?**

- ბიო წარმოების დასაწყებად ბიო სერტიფიკატი მივიღეთ, მაგრამ ეს მხოლოდ პირველი ნაბიჯია. გადამუშავებისთვის გვაქვს ვალდებულება, ამისათვის საწარმოს გაფართოებაა საჭირო. ეს პროცესი უკვე დაწყებული გვაქვს და ტექნიკურ პარამეტრებს როდესაც გავმართავთ შემდეგ გადავალთ ბიო რძის გადამუშავებაზე. შემდეგ მომხმარებელს უკვე მივაწვდით ბიო პროდუქტებს მთელი ქვეყნის მასშტაბით.

**-ეს ბოჩოლები რითია გამორჩეული, ან რატომ დაინტერესდით ამით?**

- ბიო ხბოების განსაკუთრებული, მაღალპროდუქტიული ჯიშები შემოვიყვანეთ ევროპიდან, რომელიც სიახლეა ჩვენს ქვეყანაში. აუცილებლად უნდა გავამრავლოთ, რძის წარმოების ხარისხი კიდევ უფრო ავწიოთ და მოსახლეობას მაღალი ხარისხის რძე და რძის პროდუქტები მივაწოდოთ. დიდი რაოდენობით. როდესაც ჩვენი ფერმა ამ ჯიშის საქონელით შეივსება და გარკვეულ ზღვარს მიაღწევს, გაფართოებას აღარ ვგეგმავთ, დანარჩენი საქონლის რეალიზებას მოვახდენთ. განსაკუთრებით ბუღებს, რადგან მათგაზნ ვერც რძეს მივიღებთ და ჯიშების გაუმჯობესების კუთხით იმუშაოს. აუცილებელია ჩვენს ქვეყანაში მაღალი ხარისხის საქონელი და რძის პროდუქტები იწარმოებოდეს. სუფთა ბიო პროდუქტებზე მოთხოვნა გაზრდილია და ჩვენც ფეხი უნდა ავუწყოთ. ამჯერადაც გამონაკლის შემთხვევებში ვახდენთ ხოლმე ამ ხბოების რეალიზაციას“.

მეუფე დიმიტრი კაპანაძე (ხორნაბუჯისა და ჰერეთის ეპისკოპოსი): „ქართველი ხალხი დამოუკიდებლობისა და ძთავისუფლებისთვის შექმნილი ერია... მართალია მარადისობისთვის 100 წელი არაფერს არ ნიშნავს, მაგრამ ადამიანის ცხოვრებისთვის 100 წელი დიდი დროა და დიდ სიხარულს გვანიჭებს. ბედნიერებაა იმის გააზრება, რომ ჩვენი ხალხი და ქვეყანა დამოუკიდებლობის ასი წლისთავს ზეიმობს. თავისუფლების რთული გზა გავიარეთ და უფალმა ინებოს, რომ მომავალში ეს თარილები ჩვენ აფხაზებთან და ოსებთან ერთად, ერთობლივად გვეზეიმოს. უფალმა დაგლოცოთ და გაგაძლიეროთ.“

დღის ბოლოს გაიმართა გალა-კონცერტი, სადაც ადგილობრივი თვითმოქმედი კოლექტივები და შემსრულებლები მონაწილეობდნენ.

**(გაგრძელება გვ.8)**

# „თავისუფლებისა და დამოუკიდებლობისათვის ბრძოლა ქართველი კაცის ბუნებაშია!“

*დღეს, სულ უფრო მეტად გაისმის კითხვა- ვინ ვართ ქართველები?! და ეს კითხვა ყველაზე დროულია. დროულია, რადგან ერთმანეთის ქილიკში და გათითოკაცებაში დაგვვიწყებია მთავარი, საიდან მოვედით და საითკენ მივდივართ. ყოველი ნამდვილი ქართველი გულის სიღრმეში მუდამ დაატარებს დარდს, რა გაგვიკეთებია ჩვენ ისეთი საამაყო, რითაც იამაყებდნენ ჩვენი დიდებული წინაპრები?! და აი, ამ დღეებში, სწორედ მაშინ როდესაც 26 მაისი ახლოვდებოდა, კიდევ უფრო მეტი სიმძაფრით განვიცადეთ ის ტკივილი, რაც მთავრობის სახლის წინ უამრავი არასასურველი გარეგნობის, გაურკვეველი მიმდინარეობის და სქესის წარმომადგენლების გამოსვლას მოჰყვა.*

*მთავარი კი ის არის, რომ ახალგაზრდებში სრულიად გამქრალა ეროვნული სულისკვეთება.,სიყვარული, ურთიერთგატანა...*

*26 მაისი გვიახლოვდება, ერთი საუკუნე გვაშორებს საქართველოს პირველად აღიარებულ დამოუკიდებლობამდე, ამიტომაც მძაფრია ემოციაც ბოლო დროს მიმდინარე მოვლენებზე. ლოგიკურად ჩნდება კითხვებიც, - რით დაიწყეს ჩვენმა წინაპრებმა და რა მოგვიტანია ჩვენ დღევანდლამდე მხრებით, რას ვიმკით ერთი საუკუნის თავზე?! რა განცდა გვეუფლება, და როგორია მათი მათი თვალით დანახული დღევანდელი საქართველო?*

*საქართველოს პარლამენტის დიასპორისა და კავკასიის საკითხთა კომიტეტის წამყვანი სპეციალისტი, ''ქართული ოცნება'' დედოფლისწყაროს" ერთ-ერთი დამფუძნებელი* ლია კვაჭაძე:

– თავისუფლებისა და დამოუკიდებლობისათვის ბრძოლა ქართველი კაცის ბუნებაშია და, არცაა გასაკვირი- ეს პატარა ერების გადარჩენისათვის აუცილებელია. წინა საუკუნის დასაწყისიდან დღემდე, არაერთი პატრიოტის ცხოვრება თუ სიცოცხლე შეიწირა ამ ბრძოლამ. აღარ დავიწყებ მათ ჩამოთვლას -1918 წლის გმირებიდან მოყოლებული 9 აპრილის გმირებამდე უზარმაზარი სიაა. ამ ბრძოლებმა მაინც თავისი შედეგი გამოიღო, - დღეს ჩვენი ქვეყანა ევროპულ სამეზობლოშია და სულხანსაბას ნანატრი მომავლის ხორცშესხმას ზეიმობს- ვიზალიბერალიზაციაა ამის დასტური. მაგრამ როგორც უნდა დავუახლოვდეთ ევროპას, არ უნდა დაგვავიწყდეს ''ვისი გორისანი'' ვართ და ჩვენი ტრადიციების, ჩვენი ღირებულებების, ჩვენი ტერიტორიების დაცვით უნდა შევაღოთ ევროპის ფართო კარი, აი, მაშინ იქნება გამართლებული ყველა მსხვერპლი, რაც თავისუფლებისათვის ბრძოლის გზაზე გაგვიღია!

26 მაისს 100 წელი სრულდება საქართველოს პირველი დამოუკიდებელი რესპუბლიკის დაარსებიდან, გილოცავთ ამ დღეს და გისურებთ თავისუფალ, ერთიან ევროპულ ოჯახში ბედნიერ ცხოვრებას!

ჩემს ბავშვობაში მახსოვს, სრულიად საქართველო ფეხზე დადგა, მთელი ძალით შემოჰკრა კაკაბეთის ზარებს და ''რისხვით შეკრული მუშტი'' აჩვენა ბავშვების გამტაცებლებს! ყველა სინანულით იძახდა: სად გვყავს დასაკარგი ბიჭებიო! ახლა, ახლა რა ხდება! ისევ იტაცებენ ბავშვებს - ბიჭებსაც და გოგოებსაც, გამტაცებელი კი, უფრო მეტად შენიღბული და მზაკვარია! ნარკოტიკი- ზოგჯერ ნელი და ზოგჯერ უსწრაფესი სიკვდილი - აი, ვინ გვართმევს მომავალ თაობას! ვინ არიან ის ადამიანები, რომლებიც თეთრ სიკვდილს თესავენ საზოგდოებაში? ნარკობარიგები, რომლებსაც ყველგან: სახლში, კლუბში, ქუჩაში დაუნდობელი ბრძოლა უნდა გამოვუცხადოთ და განსაკუთრებული სისასტიკით უნდა დავსაჯოთ! უზომოდ მწყდება გული, პარლამენტის შენობის წინ შეკრებილ ახალგაზრდობას რომ ვუსმენ და ვუყურებ! ნუთუ ყველა უპატრონო და მიუსაფარია? როგორ შეიძლება მშობლებმა გულგრილად და მშვიდად უყურონ მათ სატანისტურ როკვას და გაურკვეველი სქესის წარმომადგენლებთან მეგობრობას? არ მესმის იმ ადამიანების, რომლებსაც თავი განათლებული და თანამედროვედ მოაზროვნე ჰგონიათ და დემოკრატიის მანტიით შენიღბულები თანაუგრძნობენ სწორი გზიდან უფსკრულში გადავარდნილ, დაბოლილ ახალგაზრდებს. მათ ხომ თავისუფლება - თავაშვებულება, ხოლო დემოკრატია, -ნარკოტიკების მოხმარება ჰგონიათ! არ ვიცი, რაღაც უფრო მეტი გადამჭრელი ზომებია მისაღები მთავრობის, ოჯახის და საზოგადოების მხრიდან, თორემ ისევ დავკარგეთ მომავალი! და ჰყავს კი საქართველოს ''შვილი დასაკარგავი?''

**-ბოლო დროს მთელი საზოგადოება მხოლოდ იმ საკითხზე გახლავთ ორიენტირებული, საიდან მოდის აგრესია და რა იწვევს მის წარმოშობას. რით უნდა დავამარცხოთ აგრესია, გამუდმებით სხვამენ საზოგადოების სხვადსხვა წარმომადგენლები კითხვას და ცდილობენ ამოხსნან ძალადობის და აგრესიის მიზეზები, საინტერესოა თქვენ რას ფიქრობთ ამაზე და რა შეიძლება მივაწოდოთ აგრესორს მისი ქცევის ნორმის საპირწონედ, იმისთვის, რომ აგრესია გამოკვებოს თავის თავშივე და გარშემომყოფთ არ დაანთხიოს თავზე.**

-აგრესიის წარმომავლობისა და მისი საფუძვლების განსაზღვრა ფსიქოლოგების პრეროგატივაა და ისინი გაგვცემენ ამ კითხვაზე პროფესიონალურ პასუხს, ჩემი მოსაზრება შეიძლება არც ისე საინტერესო იყოს, მაგრამ მე ვფიქრობ, რომ სოციუმი, სადაც მოზარდი ყალიბდება პიროვნებად, ბადებს აგრესიას, თუ ეს სოციუმი თვითონ აგრსიული კომპონენტებისგან შედგება.

**-მთავრობის წინ გამართულმა აქციებმა და ქვეყანაში მიმდინარე პროცესებმა რა რეაქცია გამოიწვია თქვენში, ვგულისხმობ ჰომოფობიის და ტრანსფობიის გაპროტესტებას, როგორ ფიქრობთ ეს იყო პოლიტიკური ძალების მცდელობა, მოეწყოთ ქვეყანაში არეულობა, თუ ეს იყო მართლაც თავისუფალი ადამიანების ზედმეტად თავისუფლების მოთხოვნა?**

- ჩვენდა სამწუხროდ, ბოლო დროს განვითარებულმა მოვლენებმა გვიჩვენა, რომ ''მიშას ბუჩქებში'' გაზრდილმა ახალგაზრდებმა თავისუფლება-თავაშვებულებაში, ხოლო დემოკრატია-ნარკოტიკების ლეგალიზაციაში აურიეს, მე ამ ახალგაზრდებს უპატრონოები ვუწოდე! დიახ, პატრონიანი და ოჯახიანი ბიჭები და გოგონები არასდროს დაივიწყებენ თავის ქართველობას, ერისშვილობას და ასე სამარცხვინო სახით და როკვით არასდროს წარსდგებიან საზოგადოების წინაშე! თუმცა, მე წინააღმდეგი ვარ ყოველგვარი ძალადობის.

**-მე თავიდანვე ვფიქრობდი, რომ ეს იყო იაფფასიანი, ადვილად სამართავი ადამიანების თავშეყრა, რომლებმაც თავადაც არ იცოდნენ რა უნდა მოეთხოვათ?**



- რა თქმა უნდა, მეც გამიჩნდა საფუძვლიანი ეჭვი, რომ ისინი მართულები არიან ცნობილი პოლიტიკური ძალის მიერ (ნაციონალურ მოძრაობას ვგულისხმობ), რაც ნათლად გამოიკვეთა აქციაზე ნაცლიდერების მხარდაჭერით და რუსთავი-2-ის სლოგანებით.

**-ფიქრობთ თუ არა, რომ ქვეყანაში არის განათლების უმწვავესი დეფიციტი, რომელიც ღუპავს და ძალიან აზარალებს მათ, ვისაც უნდათ, რომ იყვნენ ამ ქვეყნის ღირსეული შვილები, ჩვენი გმირი წინაპრების მისწრაფებების ღირსეული გამგრძელებლები?**

-ქვეყანაში განათლების დეფიციტზე რა გითხრათ, მაგრამ განათლების სისტემის ძირეული რეფორმაა აუცილებელი, არ შეიძლება მომავალ თაობებს ვზრდიდეთ იმ მეთოდიკით, რაც ნაციონალების დროს დაინერგა და რაც არ ასწავლის ბავშვებს ოჯახის, სამშობლოს, მოყვასის სიყვარულს და პატივისცემას.

**-მიუხედავად იმისა, რომ ხელისუფლებამ გამოცდა კარგად ჩააბარა გვახარიას გამოსვლის ხარჯზე, როგორ ფიქრობთ, ის მოვლენები, რაც ბოლო დროს მოხდა მთავრობის წინ, რაიმე კუთხით უარყოფით ზეგავლენას ხომ არ მოახდენს ჩვენი ქვეყნის რეპუტაციაზე დასავლეთის ქვეყნების პოლიტიკურ სამყაროში?**

- დასავლეთის თვალში ლგბტ პირების მიერ ორგანიზებული ფართომასშტაბიანი აქცია ქვეყანაში დემოკრატიის მაღალ ხარისხზე მიუთითებს, რაც შეეხება კლუბების დარბევას, ძალადობა დასაგმობია, მაგრამ თუ სპეცოპერაცია მოქმედი კანონმდებლობით გამართლებულია, ამაზე ხმას ვერ ამოიღებენ, შინაგან საქმეთა მინისტრმა პარლამენტის ტრიბუნიდან გამოსვლით ყველა სადაო კითხვას გასცა ამომწურავი პასუხი და ამით დაადასტურა მისი უწყების სწორი მოქმედება.

ზვიად სეხნიაშვილი, **პუბლიცისტი, პატრიარქის ჩოხოსანთა საზოგადოების თანათავმჯდომარე:**

- აგრესია თანდაყოლილი არ აქვს ადამიანს. მას წარმოშობს გარემო პირობები და მის ფსიქიკაზე ხანგრძლივი ზემოქმედება. ჩვენ დღეს ვიმკით იმის შედეგებს, რაც ბოლო ათწლეულების მანძილზე ითესებოდა საქართველოში: ომები, არეულობის წლები, გაჭირვება, შიმშილი და სხვა ათასი უბედურება, რაც დატრიალდა ჩვენს თავს. მოხდა ისე, რომ საზოგადოების ნაწილმა საკუთარი ფესვების და გენის წყალობით ისევ შეინარჩუნა მიმტევებლური და ზნეობრივი ხასიათი და ჩვეულ კალაპოტს დაუბრუნდა, ნაწილმა კი ნერვულ სტრესს თავი ვერ დააღწია. თუმცა, აგრესორები ჩვენ არასოდეს ვყოფილვართ და, ცალკეული შემთხვევების გამო, მთელ ერს ამ იარლიყს ვერ მივაწებებთ. ის, რომ მას-მედიის და არასამთავროების უდიდესი ნაწილი ხელაღებით აბრალებს ქართულ საზოგადოებას აგრესორობას, სხვა არაფერია, თუ არა სიცრუე და მსუყე გრანტების მოლოდინი დასავლეთიდან. როგორც წესი, ისინი შფოთავენ მხოლოდ მაშინ, როცა ხალხის რისხვა უშუალოდ მათ ემუქრებათ, ან მათ დასაცავ სუბიექტებს. აგვიხსნან ერთი, რა უფრო დიდი აგრესიაა - როცა ნარკოტიკების ჭარბი დოზის თუ გაურკვეველი შემადგენლობის გამო ათეულობით ახალგაზრდა სიცოცხლეს ესალმება, თუ ამ ტრაგედიის სულისჩამდგმელთათვის სამართლიანად პასუხის მომთხოვნი ხალხის აღშფოთება? მე ის უფრო მაშფოთებს, რომ მოზარდებში არ დამკვიდრდეს აგრესია. ბავშვები ერთმანეთს დაუნდობლად ჩეხავენ. ამაზე უნდა მუშაობდეს მშობელი და სახელმწიფო ერთდროულად. ეკლესია უნდა ტრიალებდეს მათთან სკოლაშიც, ქუჩაშიც და სახლშიც. სადაც გადაელობნენ ეკლესიას, მიიღეს კიდეც მწარე შედეგი.

- გარკვეული ძალები არაფერს იშურებენ იმისთვის, რომ დაამკვიდრონ ამ ქვეყანაში გარყვნილი ცხოვრების წესი. ამაზე მუშაობს ქართული ტელევიზიების თითქმის აბსოლუტური უმრავლესობა და არასამთავრო ორგანიზაციების დიდი ნაწილი. ეს არის დაუფარავი, აღვირახსნილი პროპაგანდა მამათმავლობის, უზნეობის და სხვა ათასი უბედურების. რა ფობიები სჭირთ, ყველამ კარგად ვიცით - სამშობლოსა და ზნეობის გაყიდვაში აღებული ბინძური ფული მიაქვთ ოჯახებში და საერთოდ არ ანაღვლებთ ამ ქვეყნის მომავალი. ჩვენი ერი კატასტროფულ დემოგრაფიულ კრიზისშია, სიკვდილიანობამ გადააჭარბა შობადობას, ქართველობა განახევრდა, ოჯახების ნგრევის პროცენტი საგანგაშოა, წელიწადში ათეულ ათასობით აბორტი კეთდება, დედები საკუთარი ნებით საკუთარ შვილებს სპობენ ჩანასახში, ყოფნაარყოფნის ზღვარზეა საქართველო. ამ დროს არიან ადამიანები, რომლებიც მხოლოდ კაიფზე, გართობაზე, გაუკუღმართებულ სექსუალურ ურთიერთობაზე და უზნეობის დაკანონებაზე ფიქრობენ. გეკითხებით, მათი მოქმედება სხვა რამეა, თუ არა სამშობლოს და მართლმადიდებლობის ღალატი და ჩვენი წინაპრების სულში ჩაფურთხება? სხვა სახელი მათ არ მიესადაგებათ. მიდის უმძიმესი ფარული ომი ნათელ და ბნელ ძალებს შორის. ამ ომში დამარცხება სამშობლოს განადგურებას და ჩვენი მომავალი თაობის დაღუპვას ნიშნავს. ბრძოლას ლომებიც ჰყავს და ტურებიც, რომლებიც მღვრიე წყალში ყოველთვის იჭერენ საკბილოს. უნდოდათ არეულობის მოწყობაც და სისხლისღვრაც. ხომ ნახეთ, რა კატეგორიის ხალხი შეიკრიბა კლუბური გართობის მოყვარულთა საპროტესტო აქციებზე? ყველა მათგანი წლებია უკვე ებრძვის ეკლესიას, ქართულ ტრადიციებს და ზნეობას. ეჭვიც არ მეპარება, რომ პროცესი მართული იყო. რაც შეეხება მაგათ თავისუფლებას, მავანთა გაგებით, ვისაც რა მოეპრიანება, ის უნდა აკეთოს, მათ შორის ცხოველურ დონემდე დასული ქმედებები. თუმცა, ცხოველიც კი არ იკადრებს იმას, რასაც ზოგიერთი ზნედაცემული ადამიანი. უნდა დავიდეს მათ დონემდე, რომ მათი თავისუფლება მთავრდება იქ, სადაც ზღუდავენ სხვისას.

- წინა რეჟიმმა ბევრი შავი ოფლი დაღვარა, რომ ისე დაეკნინებინათ განათლება საქართველოში, მოზარდები მხოლოდ უნარ-ჩვევებზე აღეზარდათ და გამოეძევებინათ სკოლებიდან ქართული ფასეულობები. ნაწილობრივ რომ მოახერხეს, ფაქტია. თუმცა, ვერაფრით სპობენ ქართულ ფესვს, რომელიც იმდენად ღრმა წიაღიდან მოდის, ახალგამოჩეკილ „დემო(N) კრატებს" არც კი დაესიზმრებათ. მოდის ბრწყინვალე თაობა, რომელიც ღირსეულად გააგრძელებს წინაპართა ტრადიციებს. ხალხი არ იცნობს მათ, მაგრამ ისინი თავად გააცნობენ თავს საზოგადოებას და ასახელებენ სამშობლოს. ამ ტელევიზიებში რომ გამოჰყავთ უზნეობის დამნერგველი ხალხი, აჩვენონ ჩვენი მომავალი თაობა - ეკლესიურები, ზნეობით აღსავსენი, ნიჭიერები - სავსეა საქართველო ასეთი ბავშვებით. ამათ კესარია და დეისაძე ურჩევნიათ, რადგან მათ გაპიარებაში აძლევენ ხუთნიშნა ხელფასებს.

- ხელისუფლებამ ყველა ღონე იხმარა, რომ სისხლი არ დაღვრილიყო. დღეს ისეთი ხალხი აკრიტიკებს მთავრობას, ახლო წარსულში სისხლის გუბეებში რომ აწვენდნენ მომიტინგეებს. დასავლეთმაც დადებითი შეფასება მისცა ხელისუფლების ქმედებას,



მაგრამ ასე არ შეიძლება გაგრძელდეს. კანონის ძალით ზღვარი უნდა დაედოს ამდენ უზნეობას. ბილწავენ და აგინებენ უფალს, ეკლესიას, პატრიარქს, მოძღვრებს. ეს არანორმალურია (!). არც ერთ დასავლურ ქვეყანაში ასეთი რამ არ ხდება და ეს არ გახლავთ დემოკრატია და თავისუფლება, ეს არის ადამიანის ყველაზე სათუთი გრძნობების შეურაცხყოფა. ერთხელაც ქართველ ხალხს გაუწყდება მოთმინების ძაფი და მოხდება გამოუსწორებელი. ამდენად, ხელისუფლებას მართებს სასწრაფოდ მიიღოს ისეთი კანონი, რომელიც ამ სახიფათო, ცეცხლის ზღვარზე მიმდინარე პროცესებს დაარეგულირებს, სხვა გზა უბრალოდ არ არსებობს.

და კიდევ ერთი : დიდი ხანია დროა, რომ ყველა მიხვდეს - საქართველოს ბედს უნდა წყვეტდეს ქართველი ერი და არა რომელიმე ბუკიკიო თუ სოროსი. ჩვენ ბეწვის ხიდზე დავდივართ და არა მხოლოდ სწორი ლავირება გვმართებს დიდი პოლიტიკის ლაბირინთებში, არამედ იმის ხაზგასმაც, რომ ჩვენ ვართ უძველესი კულტურის მქონე ღირსეული ერი, რომელსაც ყველა ისე უნდა ესაუბრებოდეს, როგორც ამ ქვეყნის ისტორია იმსახურებს.“

მარინე ჭუმბურიძე, **პედაგოგი, პოეტი,**



**ემიგრანტი:**

„მე 10 წელია იტალიაში ვარ და მსგავსი, რაც წინა დღეებში თბილისში ვნახე, არასოდეს მინახავს. ყველაზე ცუდი ის გვჭირს ქართველებს,რომ მიბაძვა გვინდა სხვისი, ჩვენს საამაყოს და აქეთ მისაბაძს კი ფეხქვეშ ვთელავთ. იმდენი კარგია დასავლეთის ქვეყნებიდან დადებითი,რომ ... რაღა ეს უბედურება აიტეხეს? წინათაც იყვნენ ამ „დაავადების მატარებლები“,მაგრამ სინდის-ნამუსი ჰქონდათ და მალავდნენ. ნუ დამალავენ, ჯანდაბას,მაგრამ რას ამაყობენ, რას მოითხოვენ...საქართველო ვერ და არც შეეგუება მათ „გაჯეჯილებას“! ეგულებათ სადმე სადაც თავისას გაიყვანენ? მიბრძანდნენ,სანამ ვიზალიბერალიზაცია მოქმედებაშია. საქართველოში განათლება ნამდვილად მოითხოვს გადასინჯვას და გასუფთავებას! მეტ პრივილეგიებს, რელიგიის დაბრუნებას...ეს კომპეტენტური,ეროვნული განათლების მქონეთა გადასაწყვეტია.

მიმაჩნია, რომ გახარიას ბოდიში იმ წუთებში ჭკვიანური ნაბიჯი იყო, რადგან იმ ბოდიშმა განმუხტა დაძაბული სიტუაცია და უსისხლოდ დამთავრდა ყველაფერი. მათი და ტელევიზიების სიბრიყვე საიდანაც მოდის,ეს ყველამ იცის-30 ვერცხლი მამაძაღლია! არაფერი არ გვაქვს ჩვენ,ქართველებს დასავლეთის ქვეყნებთან სალოლიაო, თუ რას იტყვიან და როგორ გაგვიგებენ ისინი. ვინც არ იცნობს ჩვენს ისტორიას,წაიკითხონ და გაიგონ,რომ ჩვენ სუფთა სისხლის ხალხი ვართ! ჩვენ ნებისმიერ დასავლურ ქვეყანაზე ძველი და საამაყო ისტორია გვაქვს, რასაც არავის წავაბილწინებთ!“

ლალი მეხრიშვილი

# საქართველოს დამოუკიდებლობის 100 წლისთავი დედოფლისწყაროში



საქართველოს დამოუკიდებლობის დღე დედოფლისწყაროშიც აღნიშნეს. დილიდან დაიწყო სპეციალურად დაგეგმილი ღონისძიებები და გვიანობამდე გაგრძელდა.

საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის 100 წლის იუბილეს მიეძღვნა ღონისძიება, რომელიც დედოფლისწყაროს მუნიციპალურ ბიბლიოთეკაში გაიმართა. ღონისძიებაში მონაწილეობა ბიბლიოთეკის თანამშრომლებმა და საჯარო სკოლების მოსწავლეებმა მიიღეს. საზოგადოებას დამოუკიდებლობის დღე ხორნაბუჯისა და ჰერეთის ეპისკოპოსმა მეუფე დიმიტრიმ, დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტისმერმა ნიკოლოზ ჯანიაშვილმა, სიღნაღი-დედოფლისწყაროსმაჟორიტარმა დეპუტატმა ირაკლი შიოლაშვილმა და დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარემ, ნუგზარ პაპიაშვილმა მიულოცეს.

დამოუკიდებლობის 100 წლისთავს მიეძღვნა „პურის, ღვინისა და ფოლკლორის" ფესტივალი, რომელიც დედოფლისწყაროში შუადღისას დაიწყო, ფესტივალის ფარგლებში მუნიციპალიტეტის ყველა ადმინისტრაციული ერთეული ტრადიციული სუფრითა და ფოლკლორით წარდგა. ფესტივალის პარალელურად გაიმართა ხალხური რეწვისა და ხელნაკეთი ნივთების გამოფენა, სპორტული აქტივობები: ბაგირის გადაწევა, მკლავჭიდი, შეჯიბრი სწრაფ ჭადრაკში, მარათონი, ქართული ჭიდაობა და სასოფლო-სამეურნეო ტექნიკის გამოფენა. ასევე წარმოდგენილი იყო დედოფლისწყაროს ადგილობრივ მეწარმეთა პროდუქცია.

# ოჯახური ძალადობის მორიგი ფაქტი დედოფლისწყაროში

***მიმდინარე წლის პირველ კვარტალში ოჯახური ძალადობის ბრალდებით დაკავების მეორე შემთხვევა დაფიქსირდა დედოფლისწყაროში. დაკავებულ მამაკაცს 1 წლიანი სასჯელი შეეფარდა. სისხლის სამართლის საქმე სიღნაღის რაიონულმა სასამართლომ განიხილა, რომელმაც სრულად გაიზიარა ბრალდების მხარის, სიღნაღის რაიონული პროკურატურის მიერ წარდგენილი მტკიცებულებები და ოჯახში ძალადობაში ბრალდებული ი.მ. დამნაშავედ ცნო საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის $126^1$ მუხლის მეორე ნაწილის „ბ" ქვეპუნქტით.***

სასამართლო პროცესის მსვლელობისას გამოკვლეული მტკიცებულებებით დადასტურდა, რომ ი.მ.-მ 2018 წლის 23 თებერვალს, ღამის საათებში, დედოფლისწყაროს რაიონში, მისსავე საცხოვრებელ სახლში, არასრულწლოვანი შვილების თანდასწრებით, მეუღლის ჯ.ა.-ს მიმართ ჩაიდინა ძალადობა. გამოძიების მტკიცებით, მეუღლეებს შორის კონფლიქტი გვიან ღამით მოხდა, რა დროსაც მამაკაცმა ქალს თავის არეში ხელისა და მობილური ტელეფონის მრავალჯერადი დარტყმით ფიზიკური ტკივილი და სხეულის მსუბუქი ხარისხის დაზიანება მიაყენა.

მომხდარიდან რამდენიმე წუთში პოლიციაში სატელეფონო შეტყობინება შევიდა და შემთხვევის ადგილზე საპატრულო პოლიციის ეკიპაჟი გამოიძახეს. სამართალდამცველებმა მოქალაქე ი.მ. იმავე დღეს დააკავეს, მას ბრალდება სისხლის სამართლის კოდექსის $126^1$ მუხლის მეორე ნაწილის „ბ" ქვეპუნქტით წარედგინა. ეს მუხლი გულისხმობს ოჯახის ერთი წევრის მიერ ოჯახის სხვა წევრის მიმართ ძალადობა, რამაც გამოიწვია ფიზიკური ტკივილი, ჩადენილი არასრულწლოვნის თანდასწრებით. ამდენად, აღკვეთის ღონისძიების სახით მამაკაცს პატიმრობა შეეფარდა.

სიღნაღის რაიონულმა სასამართლომ ი.მ. დამნაშავედ ცნო წარდგენილ ბრალდებაში და სასჯელის სახედ და ზომად 1 წლით თავისუფლების აღკვეთა განუსაზღვრა, საიდანაც 6 თვეს პენიტენციურ დაწესებულებაში მოიხდის, ხოლო დანარჩენი 6 თვე ჩაეთვალა პირობით და გამოსაცდელ ვადად დაუწესდა 1 წელი.



შეგახსენებთ, დედოფლისწყაროში მიმდინარე წლის დასაწყისში, მეუღლეზე ძალადობის ბრალდებით, შსს დედოფლისწყაროს პოლიციის სამმართველოს თანამშრომლებმა კიდევ ერთი მოქალაქე გ.ბ დააკავეს. საქმეზე გამოძიება სიღნაღის რაიონულმა პროკურატურამ აწარმოა. ანალოგიური დეტალები გამოიკვეთა წინა შემთხვევაშიც. საქმეზე სიღნაღის რაიონულმა სასამართლომაც იმსჯელა და განაჩენი გამოიტანა. თავდაპირველად საქმე მოსამართლე ვალერიან ბუგიანიშვილმა განიხილა. დასკვნით ეტაპზე კი ბრალდებისა და დაცვის მხარეს მოსამართლე გიორგი ბუხრაშვილი უსმენდა.

სიღნაღის რაიონულმა სასამართლომ სრულად გაიზიარა ბრალდების მხარის მიერ წარდგენილი მტკიცებულებები და ოჯახში ძალადობისთვის ბრალდებული გ.ბ. დამნაშავედ სცნო საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის $126^1$-ე მუხლის მეორე ნაწილის „ბ" ქვეპუნქტით. მთავარი პროკურატურის მიერ გავრცელებული ოფიციალური ინფორმაციის თანახმად, სასამართლო პროცესზე გამოკვლეული მტკიცებულებებით დადასტურდა, რომ გ.ბ.-მ 2018 წლის 7 იანვარს, საღამოს საათებში, დედოფლისწყაროს რაიონში, ყოფილი მეუღლის ზ. ხალიევას საცხოვრებელ ბინაში, არასრულწლოვანი შვილის თანდასწრებით ჩაიდინა ყოფილი მეუღლის მიმართ ძალადობა, რა დროსაც ფეხის დარტყმით მსხვერპლს მიაყენა ფიზიკური ტკივილი. 112-ში საპატრულო ეკიპაჟის გამოძახება იმავე საღამოს დაფიქსირდა. სამართალდამცველებმა გ. ბ. იმავე ღამეს დააკავეს. მას ბრალდება სისხლის სამართლის კოდექსის $126^1$-ე მუხლის მეორე ნაწილის „ბ" ქვეპუნქტით წარედგინა. აღნიშნული მუხლი გულისხმობს ოჯახის ერთი წევრის მიერ ოჯახის სხვა წევრის მიმართ ძალადობას, რამაც გამოიწვია ფიზიკური ტკივილი, ჩადენილი არასრულწლოვანის თანდასწრებით. სიღნაღის რაიონულმა სასამართლომ გ. ბ. დამნაშავედ სცნო წარდგენილ ბრალდებაში და სასჯელის სახედ და ზომად განუსაზღვრა 1 წლის ვადით თავისუფლების აღკვეთა. საიდანაც მსჯავრდებული 6 თვეს მოიხდის პენიტენციურ დაწესებულებაში, ხოლო დარჩენილი 6 თვე ჩაეთვალა პირობით პატიმრობად, 1 წლის გამოსაცდელი ვადით.

ილია მარტყოფლიშვილი

# როგორ დავამარცხოთ ბულინგი?

გასულ კვირას სოფელ გამარჯვების საჯარო სკოლის გეოგრაფიის პედაგოგის **ელენე ოგბაიძის** ორგანიზებით, დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის საკრებულოში ჩატარდა რაიონის ყველა საჯარო სკოლის მე-9, მე-10, მე-11 კლასელების შეხვედრა. შეხვედრას თელავის განვითარების, განათლების და დასაქმების ცენტრის წარმომადგენლები ესწრებოდნენ, რომლებმაც პედაგოგ ელენე ოგბაიძეს გამარჯვების სკოლისთვის მონიტორი გადასცეს. საჩუქარს საფუძვლად ედო ქალბატონი ელენეს მიერ თავისი მოსწავლეების პროგრამა „მომავლის თაობაში" ჩართვა. პედაგოგმა და მოსწავლეებმა დაწერეს პროექტი სახელწოდებით „არა ბულინგს". ახალგაზრდებმა პედაგოგთან ერთად პროექტში გამარჯვება მოიპოვეს და საჩუქრად მონიტორიც დაიმსახურეს. აღსანიშნავია, რომ პროგრამა მომავლის თაობაში ჩართვა ითვალისწინებს თეორიული ცოდნის პრაქტიკაში გადმოტანას, რომელსაც აფინანსებს და კურირებს თელავის განვითარების, განათლების და დასაქმების ცენტრი.

ფილმი, რომელიც ამ შეხვედრაზე სკოლის მოსწავალეებისთვის ეკრანზე გაუშვეს,საკმაოდ ღრმა შინაარს ატარებდა და, თემიდან გამომდინარე, ცოტა დამთრგუნველიც გახლდათ, თუმცა ის მაინც ყველა მოსწავლემ უნდა ნახოს - ბულერმაც და მსხვერპლმაც, რათა გააკეთოს ანალიზი და ისწავლოს , თუ როგორ შეიძლება ვებრძოლოთ ბულინგს ან რით შეგვიძლია დავამარცხოთ ის. შემეცნებითი და ფსიქოლოგიურად დატვირთული ფილმის ნახვის შემდეგ ორგანიზატორების განცხადებით, სენი, რომლის განკურნების სურვილიც ჩვენს საზოგადოებას გააჩნია, მაგრამ ვერაფრით კურნავს, ამის ერთ-ერთ ყველაზე საუკეთესო მაგალითად შემეცნებითი კამპანიები და დისკუსიები გამოდგება. ფილმში მთავარი პერსონაჟი მოსწავლე ბიჭი და ნაწილობრივ მისი მეგობარი გოგონა გახლავთ, რომლებსაც სავარაუდოდ უყვართ ერთმანეთი და ერთად დადიან, თუმცა, სწორედ ამ დადებითი ნიშნის ანდა სხვა მიზეზის გამო, მათ ყველა დასცინის: სკოლის კიბეზე, ქუჩაში, ეზოში, კლასში, გაკვეთილზე ყველგან, სადაც შეუძლიათ ირონიული ღიმილი გააყოლონ მათ. წყვილი, რომელიც გამუდმებით ბულინგის მსხვერპლია, გამოსავალს საუკეთესო სწავლით და პირველობით ჰპოვებს. 10-წუთიან ფილმში დგება მომენტი, როდესაც ბულინგის მსხვერპლი ბიჭი ყველასთვის სამაგალითო და მისაბაძი ხდება და მასთან მეგობრობით ყველა ამაყობს, უფრო მეტიც, ყველა სირთულის და წინააღმდეგობის დროს, მეგობრები მის გვერდით დგებიან და ერთმანეთის ლელო გაჰყავთ. ეს იდეალური ფილმი გახლდათ, რომელსაც ინდური ფილმივით კარგი დასასრული ჰქონდა, თუმცა ხშირ შემთვევაში ასე რომ არ ხდება და ბულინგის არასასურველი დასასრულის მოწმენიც გავმხდარვართ, ამასაც ვერსაც გავექცევით.



ფილმის დასრულების შემდეგ ახალგაზრდებს გაეცნო იურისტი თათია რობიტაშვილი და გააცნო დამსწრეთ, თუ როგორ უნდა მოიქცნენ იმ შემთვევაში, თუ ისინი ან მისი მეგობრები ძალადობის ან ბულინგის მსხვერპლნი აღმოჩნდნენ. ქალბატონმა თათიამ მოუწოდა ბავშვებს, რომ თუ ასეთი შემთხვევის მომსწრე გახდნენ, არ დაფარონ, იყვნენ ძლიერები და იბრძოლონ საკუთარი უფლებების დასაცავად, მიმართონ დირექტორს, სოციალურ მუშაკს, იურისტს ან დარეკონ ცხელ ხაზზე: 15-05 -ზე, სადაც ბულინგის მსხვერპლს გაუწევენ ყველანაირ დახმარებას, თითეულ ზარს მოჰყვება რეაგირება.

ვფიქრობ, ბავშვთა მიმართ ბულინგის კუთხით, რაც ზოგადად ბოლო დროს ხდება არამარტო ჩვენს ირგვლივ, არამედ მთელი მსოფლიოს მასშტაბით, არის ტესტი იმის, თუ რა ტიპის საზოგადოებაში ვცხოვრობთ ზოგადად.

და ბოლოს, ბულერები თავისით არ იბადებიან, ბულერები იძერწებიან იმ გარემოსგან, სადაც ისინი იზრდებიან, თუმცა ვერ ვიტყვით, რომ მათ ოქროს აკვანი აქვთ დარწეული იმ გარემოში, სადაც ყოველდღიურად უნდა იღებდნენ დამატებით აღზრდას. უწინ, ძალიან რთული მდგომარეობის და პირობების ოჯახში მყოფი ბავშვი, გარეთ გამოდიოდა და როგორც პეპელა სანთლის შუქისკენ, ისე მიილტვოდა სიკეთისკენ. ბავშვს, თუ სურდა, ვილაცისგან მაინც სწავლობდა სასარგებლოს, წიგნებიდან იღებდა იმ საზრდოს, რაც გარშემო აკლდა. ამჯერად არც გარემოა და სიკეთეც სადღაც გაქრა, უფრო უარესი, სიკეთე ბოროტებისგან იდევნება და იჩაგრება. ამჯერად სიკეთის არათუ სწავლაზეა საქმე, არამედ მის არსებობასა და შენარჩუნებაზე. აგრესია ყველგან არის- ოჯახში, მშობლებში, მეზობლად, სკოლაში, პედაგოგებში, ქუჩაში, ახლობლებში, ყველგან, მას ვერაფერი აჩერებს და რა ქნას ბავშვმა გარდა ერთისა, ტაძრად საკუთარი ფეხით მიყვანისა. თუმცა, ვერც იმას უარვყოფთ, რომ აგრესორებს არც ღმერთი აინტერესებთ და არც ღვთის შიში.

ლალი მეხრიშვილი

# წერილი მსოფლიოს!

***წელს საქართველოში რიგით მეხუთე საიუბილეო „წერილის წერის საერთაშორისო კონკურსი" გაიმართა. კონკურსში მონაწილეობა მიიღო 300-მდე 15 წლამდე ახალგაზრდამ და გამოვლინდა 9 საუკეთესო ნაშრომი. კონკურსის მთავარი პრიზის, გრან-პრის მფლობელი გახდა დედოფლისწყაროელი ლანა მენთეშაშვილი. მასსაჩუქრად გადაეცა ნოუთბუქი და წიგნი ექვთიმე თაყაიშვილზე.***

კონკურსის შედეგები ასე გადანაწილდა:

გრან პრი - ლანა მენთეშაშვილი, I ადგილი - სალომე ამყოლაძე, II ადგილი - მარიამ მაჩაიძე და ნინო გოგსაძე, III ადგილი - ნიკა ოთარაშვილი და მარიამ გიორგაძე, საქართველოს ფოსტის რჩეული - ანდრია კიკონიშვილი, გაერთიანებული საფოსტო კავშირის რჩეული - ნინო გობაძე და კონკურსის ჟიურის რჩეული - ანა გოგია.

მიმდინარე წლის საკონკურსო თემა გახლდათ - „წარმოიდგინე, რომ ხარ წერილი რომელიც მოგზაურობს დროში, რა ინფორმაციის მიწოდებას ისურვებდი მკითხველისთვის?". „მსოფლიო საფოსტო კავშირში" გაიგზავნება კონკურსის გრან პრის გამარჯვებული 12 წლის ლანა მენთეშაშვილის წერილი „გამარჯობა მსოფლიო!" და ჩაერთვება საერთაშორისო საკონკურსო პროგრამაში. აღსანიშნავია, რომ კონკურსის ყველა მონაწილის მიერ მეტად საინტერესო თემები იყო წარმოდგენილი.

* * *

ლანა 12 წლისაა. ის დედოფლისწყაროს მეორე საჯარო სკოლის მეექვსე კლასის მოსწავლეა. მისი დედა - დალი ქალაქ დედოფლისწყაროს N1 ბაგა-ბაღის აღმზრდელია, მამა კი სრულიად პატარა ასაკში გარდაეცვალა, უფრო სწორად, უსამართლო გარჩევას შეეწირა. დედა ზრდის მას და მის და-ძმას.

**რატომ გადაწყვიტა ამ კონკურსში მონაწილეობა?** ლანა ამას ასე ხსნის:

-ბევრი მიზეზი მქონდა იმისათვის, რომ დამეწერა წერილი ნამდვილ, ჭეშმარიტ სიყვარულზე, რომელსაც დედამ მაზიარა. მე ძალიან პატარა ვიყავი, როცა მამა უსამართლობის მსხვერპლი გახდა და ჩემი ბავშვური ბუნებიდან გამომდინარე,ბევრი სიძულვილი დამიგროვდა. მე გული მტკიოდა, როცა ვხედავდი, როგორ ევლე-




ბოდნენ თავს ჩემს მეგობრებს თავიანთი მამები და ზრუნავდნენ მათზე. მე შინაგანად დათრგუნული ვიყავი და ვცდილობდი, სხვისთვის სამაგიეროს გადახდას, წყენინებას, დაჩაგვრას... პრობლემები მქონდა ყველგან: სკოლაში, უბანში, სახლში... ჭირვეული და თავნება გავხდი. და ეს ასე გაგრძელდებოდა, რომ არა დედაჩემი და ის სიტყვები, რომლებიც მან წამიკითხა და ამით მიმანიშნა, როგორ უნდა იცხოვრონ სწორად ადამიანებმა. ამან ჩემზე დიდი ზეგავლენა მოახდინა და დავიწყე იმ ღირებულებებით ცხოვრება, რომელსაც კაცთა შორის სიყვარული ქადაგებს.

ტელევიზორში მოსმენილი ტრაგედიები, მკვლელობები, დავა და უსამართლობა უკვე თრგუნავდა ჩემს გულს. ხშირად ვფიქრობდი, რატომ ხდებოდა ასე, რატომ არ უნდათ ადამიანებს, რომ იცხოვრონ სიყვარულით, მოთმინებით, ურთიერთპატიებით?! მე ხომ ეს ყველაფერი საკუთარ თავზე გამოვცადე. იცით, შეიძლება იფიქროთ, რომ ამ ყველაფრის გასააზრებლად ძალიან პატარა ვარ, მაგრამ ეს ასე არ არის. ბევრი შრომა დასჭირდა დედას ამისთვის და მეც სხვანაირად დავიწყე ყურება და ფიქრი.

ჩემთვის მთავარი გამარჯვება კი არ არის, მთავარია, ამ გამარჯვებისა და წერილის მოტივი გაიზიარონ ადამიანებმა.

ლანას იმედი აქვს, რომ სიყვარულის ძალით გაკეთილშობილებულ სამყაროში მშვიდობა დაისადგურებს და აღარ იქნება ბოროტება, ომი და სიკვდილი. თუმცა, თავად წაიკითხეთ...

**გამარჯობა, მსოფლიო!**

გამარჯობა, მსოფლიო! მე შენი გიგანტური სხეულის უმცირესი ნაწილი ვარ იმ ნაწილთა შორის, რომელიც გარს გახვევია. თუმცა, არ ვიცი, რამდენად მოგწვდება ჩემი ხმა, მაგრამ მე მაინც მოგწერ. მოგწერ იმიტომ, რომ ჩემი სახელია „წერილი".

მე დიდი ხანია, ეს სახელი დამარქვეს და ამ სახელის წყალობით შენს ირგვლივ ვმოგზაურობ. ნეტავ იცოდე, რა არ გადმხდენია თავს... სად არ მივლია: მთაში თუ ბარში, ზღვაში თუ ცაში, შენი ყველა უკიდეგანო სივრცეები გამივლია. ჩემთვის დრო არ არსებობდა. დღე იყო თუ ღამე, ბინდი თუ ნათელი, ჩემი ვალი იყო, იქ მივსულიყავი, სადაც გამგზავნიდნენ. ეს კიდევ არაფერი... არ მკითხავ, მერე რა იყო?! როგორ მხვდებოდნენ ჩემი ადრესატები? ზოგი მკოცნიდა, გულში მიხუტებდა, ზოგიც უკან მაბრუნებდა, შუაზე მხევდა ან უფრო უარესი-პირდაპირ ცეცხლში მაგდებდა, რომ ჩემი ფერფლიცკი არსაიდან დარჩენილიყო.

რა ვქნა, ასეთია ჩემი ბედი! თუმცა, რაღა გავაგრძელო, მე დიდი მისია მაკისრია შენს წინაშე, ჩემო მსოფლიო! მე ყველა დროს გავუძელი, ყველა ომს გავუმკლავდი, ბევრი რამ გამიგია და ბევრიც მისწავლია. მე ყველაფერს ვგრძნობდი და ყველაფერი მესმოდა, რაც ჩემს ფურცლებზე ოდესმე დაწერილა. თითქოს ყოვლისშემძლე ღმერთი ვყოფილიყავი, არაფერი იყო ჩემთვის დაფარული და დამალული. ჩემი ვალიც ხომ ეს იყო! ყველაფერი უნდა გამემჟღავნებინა და მეთქვა!

მსოფლიო! ვიცი, რომ დღეს შენ ბევრი რამე გტკივა, ბევრი რამ გაწუხებს. შენს გარშემო ბობოქრობენ ამაყნი, ამპარტავანნი, ვერცხლისმოყვარენი, უმადურნი, სასტიკნი, მოღალატენი, ურჩნი და ... კმარა! ეს უკვე მეტისმეტია!

დღეს შენ თავს იწონებ შენი დონის მიღწევებით, მაგრამ ამის უკან ბევრი ტკივილი და დარდია. ბოროტებას დაუსადგურებია შენს უბეში და აღარსად უნდა წასვლა. არადა, სულ ორი გოჯი მიწისა თუ მოსახვეჭი დიდების გამო. სირცხვილია, არა? სირცხვილია, აბა, რა! შენ ხომ მსოფლიო გქვია! მერედა რაშია შენი ძალა, რაზე დგას შენი საყრდენი? იქნებ ამაში მეც მიმიძღვის ბრალი, იმიტომ, რომ ჩემი დრო წარსულში დარჩა.

მინდა განვაახლო ჩემი ვიზიტები და ყველა შენგანს ვაუწყო ერთი წერილის ტექსტი, რომელიც 2000 წლის წინ დაიწერა. ის, ვინც ეს სიტყვები შთააგონა ავტორს, თვითონ იყო ამ წერილის არსი. მან ხომ სიყვარული გვასწავლა. გაიხსენე ეგ დრო? კაცობრიობის ისტორიის უდიდესი მოვლენა, რომელსაც შეუძლია ყველაფერი შეცვალოს სულ რაღაც ერთი წერილის გავრცელებით. ალბათ მიხვდი, რასაც ახლა დავწერ!

მერე შენ ადგები და ყველგან გაგზავნი. არ დატოვებ არც ერთ სახლს, ქუჩას, ეზოს თუ ცათამბრჯენს,არცერთ თავშესაფარს, ციხეს თუ საავადმყოფოს, სკოლას თუ ბაღს, ბაზარს თუ მოედანს... ყველგან მიიტან, გესმის? მოდი, კიდევ ერთხელ შევახსენოთ ადამიანებს ამქვეყნიური სტუმრობის მისია. მაშ ასე, მზად ხარ? გულისყური მომაპყარი და კარგად ჩაუკვირდი!

I კორინთელთა 13 თავი

**(ამონარიდი სახარებიდან)**

***სიყვარულის გამოჩენა***

**4. სიყვარული სულგრძელია, სიყვარული ქველმოქმედია, არ შურს, არ ყოყოჩობს, არ ამპარტავნობს.**

**5. არ სჩადის უწესობას, თვისას არ ეძიებს, არ რისხდება და არ განიზრახავს ბოროტს.**

**6.არ ხარობს სიცრუით, არამედ ჭეშმარიტება ახარებს.**

**7. ყოველივეს იტანს, ყველაფერი სწამს, ყველაფრის იმედი აქვს და ყოველივეს ითმენს!**

**8.სიყვარული არასოდეს მთავრდება!**

**გესმის, მსოფლიო? წაიკითხავ ამ წერილს? მაშინ არასოდეს იქნება გლოვა, აღარ იქნება დარდი, აღარც ცრემლი და აღარც ომი. აღარ იქნება მტრობა, შუღლი და აღარც ბოროტება!!!**

**მე ვაგზავნი ამ წერილს ყველგან, სადაც შენ ხარ! ვასწავლოთ ერთმანეთს სიყვარული და შენც გადარჩები!!!**

* * *

***„წერილის წერის საერთაშორისო კონკურსის" მიზანია წერილის წერის ტრადიციის აღდგენა/დამკვიდრება და წერილობითი ურთიერთობის პოპულარიზაცია ახალგაზრდა თაობაში, ასევე თანამედროვე ტექნოლოგიების პირობებში წერილობითი ურთიერთობების შენარჩუნება.***

***„წერილის წერის საერთაშორისო კონკურსს" საფუძველი ჩაეყარა „მსოფლიო საფოსტო კავშირის" ტოკიოს კონგრესზე და 1971 წლიდან სისტემატურად იმართება, მასში მონაწილეობას იღებს მსოფლიო საფოსტო კავშირის 192 წევრი ქვეყანა.***

***„წერილის წერის საერთაშორისო კონკურსის" დაჯილდოების ცერემონიას უმასპინძლა საქართველოს პარლამენტის ეროვნულმა ბიბლიოთეკამ.***

**მასალა მოამზადა**
ინგა შიოლაშვილმა

# ქართული ჰანგების სამყაროში...

22 მაისს, 18 საათზე, საქართველოს პირველი დემოკრატიული რესპუბლიკის 100 წლის იუბილისადმი მიძღვნილი კვირეულის ფარგლებში, დედოფლისწყაროს ხელოვნების სკოლაში „ქართველ კომპოზიტორთა საღამო" გაიმართა. შეხვედრას ესწრებოდა მუნიციპალიტეტის მერი ნიკოლოზ ჯანიაშვილი. მუნიციპალიტეტის აპარატის უფროსი მარინე შეითნიშვილი, მერიის კულტურის სამსახურის უფროსის მოადგილე ნანული ნატროშვილი და სხვები.

საღამო ხელოვნების სკოლის სასწავლო ნაწილის გამგემ, პედაგოგმა ლია ხაჩიაშვილმა გახსნა, რომელმაც შესავალი სიტყვის შემდეგ წუთიერი დუმილით პატივის მიგება სთხოვა საზოგადოებას ახლადგარდაცვლილი ნინი კიკილაშვილის და მათი პედაგოგის ფიქრია ქადაგიძის ხსოვნის პატივსაცემად. კონცერტის წამყვანები იყვნენ ხელოვნების სკოლის მოსწავლეები: კატო გვენეტაძე, ლანა მენთეშაშვილი, ნათია ჯანაშვილი, ნიკოლოზ პაპაშვილი, ლიზი ზურაშვილი, მარიამ ღორაშვილი, ლიკა ტოკლიკიშვილი და თებროლე ლომსაძე. სცენაზე ერთმანეთს ცვლიდნენ პედაგოგების: ლია ხაჩიაშვილის, ნინო ლაპიაშვილის, ნინო ალადაშვილის, დალი ხუციშვილის, თამილა ნადირაშვილის, მარიკა პირზადოვას, ნინო მაჭარაშვილის, თამუნა კიკილაშვილის მოსწავლეები. საღამო გია ყანჩელის არაჩვეულებრივი ნაწარმოების შესრულებით მოსწავლე ანანო გიგაურმა გახსნა. ბედნიერია ერი, რომელსაც თავის წიაღში გამოზრდილი ჰყავს ისეთი ხელოვანი, როგორიცაა გია ყანჩელი, კომპოზიტორი, რომლის ნაწარმოებებსაც მსოფლიოს უამრავ ქვეყანაში ასრულებენ, მისი ღრმა სულიერებითა და ჰარმონიით სავსე ნაწარმოებები ერთი მოსმენითვე ადამიანთა გულებში იდებს ბინას. გია ყანჩელი დღემდე ნაყოფიერად თანამშრომლობს რუსთაველის თეატრთან. მის კალამს ეკუთვნის რობერტ სტურუას საუკეთესო სპექტაკლებისთვის შექმნილი მუსიკა: „კავკასიური ცარცის წრე", „რიჩარდ მესამე", „ჰამლეტი", „ხანუმა" და სხვა,-გადმოგვცეს წამყვანებმა საღამოზე.

„-მე უნდა ვუმადლოდე ფილმს „მზის ველის სერენადა", სადაც მთავარი გმირები იყვნენ გლერი და მისი ორკესტრი. ეს ფილმი გამოჩნდა მეორე მსოფლიო ომის შემდეგ. მე მგონი ამ მუსიკით „ავად გახდა" მთელი ჩვენი თაობა, მათ შორის მეც. მაშინ 12 წლის ვიყავი და ვსწავლობდი ფორტეპიანოზე დაკვრას, ვცდილობდი სმენით ამეწყო ეს შესანიშნავი მუსიკა. ჩვეულებრივ მუსიკასთან გაცნობა იწყება ბახით, მოცარტით, ბეთხოვენით და სხვა, ჩემთვის მუსიკის გაცნობა დაიწყო მილერით, ელიგტონით, ელა ფიცჯერალდით, მაილს დევისით. მე არც მიოცნებია და არასოდეს მეგონა, რომ ჩემი ცხოვრების საფუძველი გახდებოდა სიმფონიური მუსიკა,"-მოგვითხრობდნენ წამყვანები გია ყანჩელის მოგონებებიდან. ყანჩელის პატივსაცემად კომპოზიტორის ულამაზესი ჰანგებით დაგვატკბეს ანა სესიტაშვილმა, მარიამ ყოჩიაშვილმა და გვანცა ყავრელიშვილმა.



ნინი ნატროშვილმა და ნინო ალუღიშვილმა შეასრულეს კახა ცაბაძის ნაწარმოები. თეკლა ცაკაშვილმა, კატო გვენეტაძემ და მარიკა პირზადოვამ,ნინო მაჭარაშვილის გუნდებმა შეასრულეს მერაბ მერაბიშვილის მუსიკა. კომპოზიტორ ალექსი ფურცელაძის ნაწარმოები არაჩვეულებრივად დაუკრა გიორგი ბოდაველმა, ხოლო ლუკა ყაჭაშვილმა, მარიამ ყოჩიაშვილმა და ნინო ალუღიშვილმა დიდებულად შეასრულეს ფარცხალავას „ჰიმნი ქუთაისზე", პედაგოგი დალი ელისაშვილი. შესრულდა დავით ტურიაშვილის, შოთა მილორავას, შალვა თაქთაქიშვილის, ელეონორა ექსანიშვილის კლასიკური ნაწარმოებები, რომლებიც მარი ელოიანმა, ლიზი ზურაშვილმა, ანი ჩიტიშვილმა შეგვისრულეს.

დარბაზში ჩვენი რაიონის ღვაწლმოსილი პედაგოგის და კომპოზიტორის, ირაკლი კიკილაშვილის სახელის გაჟღერებას მქუხარე ტაში მოჰყვა. ცხადია, ჩვენ ჩვენი კომპოზიტორი გვეამაყება, რომლის ბგერა მართლაც ქიზიყივით მსუყედ ჟღერს და ამავდროულად ქიზიყის ისტორიასავით სევდიანიცაა, ამიტომაცაა რომ აქაურებს მისი ნაწარმოებები სხვანაირად გვხვდება გულზე. იგი 30 წლის განმავლობაში სათავეში ედგა სოფელ არბოშიკის სამუსიკო სკოლას, ხელმძღვანელობდა ჩვენი რაიონის კულტურის სახლთან არსებულ ვაჟთა ფოლკლორულ ანსამბლს. ამავდროულად ირაკლი კიკილაშვილი რაიონის თეატრალური დასის ერთ-ერთი საუკეთესო წევრი გახლდათ, ის სპექტაკლებში მთავარ როლებს თამაშობდა. ახლახანს გამოიცა კიკილაშვილის პიესების საბავშვო კრებული „ჩემი ერთი დღე". დაწერილი აქვს საფორტეპიანო და სავიოლინო ნაწარმოებები, სიმღერები გიტარისთვის. იგი დღესაც ნაყოფიერად ეწევა აქტიურ საკომპოზიტორო შემოქმედებას, მისი ნაწარმოებები ხშირად სრულდება საქართველოს სხვადასხვა რეგიონის მუსიკალურ თუ ხელოვნების სკოლებში.

ირაკლი კიკილაშვილის ნაწარმოებები ვიოლინოზე შეასრულეს თეკლა წიკლაურმა, ირაკლი საბიაშვილმა, კატო გვენეტაძემ, გურამ გოგაშვილმა.

ვაჟა აზარაშვილის ნაწარმოებები დაგვიკრეს ელიზავეტა ცქიტიშვილმა და ქეთი გივიშვილმა. დასასრულს პედაგოგებმა გაგვიკეთეს დასკვნითი საჩუქარი და ოთარ თაქთაქიშვილის მინდიას ოპერიდან „მინდია"-ს არია შეასრულეს მაკა მოლოდინმა და თამილა ნადირაშვილმა.

ქართველ კომპოზიტორთა საღამო ამაღელვებელ ნოტაზე დამთავრდა. პატრიარქის დაბადებიდან -80, ხოლო აღსაყდრებიდან -40 წლის აღსანიშნავად, მისი სიტყვები წაიკითხეს, ხოლო გუნდის მოწაფეებმა პატრიარქის დაწერილ ლექსზე შეასრულეს სიმღერა, რამაც მთელი დარბაზი აატირა.

ხელოვნების სკოლის დარბაზში შეკრებილსაზოგადოებას სიტყვით მიმართა და საქართველოს დამოუკიდებლობის 100 წლის იუბილე მიულოცა ჩვენი მუნიციპალიტეტის მერმა ნიკოლოზ ჯანიაშვილმა: ,,ბედნიერი და ამაყივარ, რომ ამდენ ნიჭიერ ახალგაზრდას ვუყურებ. ამ ახალგაზრდებში ჩვენი ქვეყნის ხვალინდელ დღეს ვხედავ . მხოლოდ დედოფლისწყაროში ამდენი ხალასი ნიჭის მქონე ახალგაზრდა ნიშნავს, რომ საქართველო კიდევ მრავალი აუკუნე იზეიმებს დამოუკიდებლობის იუბილეს და ისკიდევ და კიდევ უფრო წარმატებული ქვეყანა გახდება. ულრმესი მადლობა მათ და მათ პედაგოგებს. დღევანდელი საღამო დამოუკიდებლობის დღეს ეძღვნება და კონცერტის რეპერტუარშიც მხოლოდ ქართველი კომპოზიტორების ნაწარმოებები შევიდა. ამისთვისაც დიდი მადლობა ხელოვნების სკოლის ხელმძღვანელებს და პედაგოგებს."

ამაღელვებელი საღამო იყო, სხვანაირად არც შეიძლებოდა, ეს ხომ ქართველ კომპოზიტორთა საღამო იყო. ჩვენი პედაგოგების ენთუზიაზმი იმედს მაძლევს, რომ მომავალი თაობა ხარისხიან მუსიკას ეზიარება.

ლალი მეხრიშვილი




## 1974 WLIS MAISI

◆ MOVASOROT SOFLEBS MUQTAXOREBI. AXALGAZRDEBIS SROMIT ARZRDASI XSIRAD MSOBLEBI XSIRAD GANZE DGEBIAN DA NACVLAD IMISA, ROM SVILEBI PATIOSAN SROMAS AZIARON, XELS UWYOBEN MAT MUQTAXOROBASI. ISINI SVILEBS AGZAVNIAN TBILISSI, REPETITOREBTAN, IQNEB ROGORME UMARLES SASWAVLEBLEBSI MOEWYONO. MAGRAM BEVRI MATGANI SWAVLIS MAGIVRAD USAQMOD ARMA-DARMA XETIALSI ATAREBS DROS. MSOBLEBIS KISERZE IMYOFEBIAN DA ARAFERS QMNIAN SAZOGADOEBISTVIS SASARGEBLOS. AI, SAD MRUDDEBA AXALGAZRDIS CXOVREBIS GZA. VIN ARIAN DAMNASAVENI? PIRVEL RIGSI MSOBLEBI, ROMLEBIC ASETI MOQMEDEIT DATVUR SAMSAXURS UWEVEN SVILEBS. KOLMEURNEOBIS KOMKAVSIRULI AXALGAZRDULI ORGANIZACIA BEVR AXALGAZRDAS AERTIANEBS, MAGRAM MATGAN MXOLOD TITZE CAMOSATVLELI MUSAOBS KOLMEURNEOBASI, DANARCENEBI MUQTAXOROBAS EWEVIAN. ISINI ARSAD AR MUSAOBEN DA ZALAUNEBURAD LOTOBASA DA DANASAULEBRIV GZAS ADGEBIAN. SEDEGEBIS MIXEDVIT, WELS BEVR KOLMEURNES AR MIURIA MONAWILEOBA SAKOLMEURNEO SROMASI, SAINTERESOA, RIT UNDA GAIMARTLON TAVI?

◆ ZEMO MACXAANSI GACILEBIT NAKLEBI DANASAULI MOXDA, VIDRE OZAANSI, ROMLIS MOSAXLEOBAC 3-4 JER NAKLEBIA ZEMO MACXAANZE. AMITOM ES FAQTI METAD DAMAFIQREBELIA. WELS SOFEL TAVWYAROSI MTVRALMA V. ZARIZEM DAWRA A. QAVTARAZE; OZAANIS KOLMEURNEOBIS SAVELE KALODAN S. KOXTASVILMA 10 TOMARA XORBALI MOIPARA; V. XATIASVILMA MOAXDINA AVTOAVARIA, ROMELMAC GAGLOSVILI IMSXVERPLA; R. YAWASVILMA SXEULIS MZIME DAZIANEBEBI MIAYENA MOQALAQE BERIASVILS; MARAZIIS GAMGE-GAMYIDVELS Z. KOXTASVILS ARMOACNDA 786 MANETIS DANAKLISI DA SXVA. ARNISNULI DANASAULOBANI AR MOXDEBODA SOFLAD ROM PROFILAQTIKURI DA ARMZRDELOBITI MUSAOEBA SATANADO DONEZE IDGES DA AMXANAGURI SASAMARTLO GAMARTULAD MUSAOBDES. YRILOBAZE SITYVIT GAMOVIDA SAXALXO MOSAMARTLE, AMX. AL. SEFIASVILI. UNDA DAMTAVRDES USAQMUROBA, MUQTAXOROBA DA PARAZITOBA.

◆ SAMOMXMAREBLO KOOPERACIIS MUSAOBIS GAJANSARABAZE SAQARTVELOS KP CENTRALURI KOMITETIS MIER GATAREBULMA RONISZIEBEBMA KETILISMYOFELI GAVLENA MOAXDINA. AMAN GAMOIWVIA IS, ROM SAQONELBRUNVIS MOCULOBA WITELWYAROS RAIONSI 1973 WELTAN SEDAREBIT 1974 WELS 8,3%-IT GAIZARDA, MAGRAM ES AR ARMOCNDA SAKMARISI, ROM RAIKOOPERATIVS SEESRULEBINA SAQONELBRUNVIS MTELI WLIS GEGMA. IGI SESRULDA MXOLOD 96,8 %-IT. GARRVEVAM SEADGINA 540 200 MANETI. WITELWYAROS RAIKOOPERATIVIS RWMUNEBULTA KREBAZE ARINISNA, ROM 13 SASOFLO SABWODAN 10-SI VER SESRULDA GEGMA. GANSAKUTREBIT DABALI MACVENEBELI IYO SOFEL JAFARIZESI, 65,2%. TITQMIS YVELA SOFELSI GAIZARDA MOSAXLEOBIS MSYIDVELUNARIANOBA, MAGRAM AMIS MIUXEDAVAD RAIKOOPERATIVS GEGMA MAINC SEUSRULEBELI DARCA. ES GAMOIWVIA IMAN, ROM MTLIANAD RAIONIS 74 SACALO OBIEQTIDAN GEGMA MXOLOD 31 OBIEQTSI SESRULDA. SAKITXAVIA RAS AKETEBDA DANARCENI 43 OBIEQTI? MOMXSENEBLEBI GEGMIS SEUSRULEBLOBIS MIZEZAD FONDEBIS AUTVISEBLOBA, QSELSI SAQONLIS REGULIREBIS SUSTI ORGANIZEBA, WNORIS SAVAWRO BAZIS SUSTI MUSAOBA, ROMELIC SAWIRO SAQONLIT DROULAD VER AMARAGEBS WITELWYAROS RAIONIS SAVAWRO OBIEQTEBS. JERJEROBIT KIDEV AQVS ADGILI UXARISXO SAQONLIS GAMOSVEBAS, RASAC MOSAXLEOBA AR YIDULOBS DA SEDEGIC SAXEZEA.

◆ SAMSAXURIDAN GATAVISUFLEBUL IQNA WITELWYAROS RAIONIS VAWROBIS QSELIS 120 MUSAKI. MAT SORIS 6 VAWROBIS WESEBIS DARRVEVIS GAMO, 11 MATERIALUR FASEULOBATA DANAKLISIS GAMO. ZOGMA KI TAVISI SURVILIT DATOVA SAMUSAO, RADGAN VER SEEGUA AXLEBURAD MUSAOBAS. YOVELIVE AMAN GAMOIWVIA IS, ROM RAMDENIME SOFELSI MARAZIEBI DAIKETA, RAMAC UARYOFITI GAVLENA MOAXDINA KOOPERACIULI SISTEMIS GEGMEBIS SESRULEBASI.

## 1975 WLIS MAISI

◆ WITELWYAROELEBI KIDEV ERTXEL GAECNEN SAGAREJOS SOFEL PATARZEULIS, WYALTUBOS SOFEL MARLAKIS, CXAKAIAS SOFEL AXALSOFLIS MSROMELEBIS MIMARTVAS - `ARCERTI USAQMURI SOFELSI!~ AM MOWODEBAS ARXILOSKALOELEBIC SEUERTDNEN. AMASWINAT SOFLIS MSROMELEBMA TAVI MOIYARES ARXILOSKALOS KULTURIS SAXLSI, SADAC MOXSENEBA GAAKETA SASOFLO SABWOS TAVMJDOMAREM I. SVARIZEM. YRILOBAZE GAMOIRKVA, ROM WELS SAKOLMEURNEO SROMASI AR CABMULA, MONAWILEOBA AR MIURIA DA ARCERTI SROMA DRE AR GAMOIMUSAVA 44 MAMAKACMA DA 21 QALMA. GASULI WELI ZARALIT DAAMTAVRES MECXVAREEBMA. RATOM? IMITOM, ROM MTEL RIG SXVA SAKITXEBTAN ERTAD MUSAXELIS SIMCIREA. MAGALITAD MECXVAREOBASI ZIRITADAD DASAQMEBULIA DAQIRAVEBULI MWYEMSEBI. SXVISI GAKETEBULI SAQME KI MXARS ESVELA DA GULS ARAO! MKACRAD DAISVA SAKITXI, ROM MECXVAREOBIS FERMA DAKOMPLEQTDES ADGILOBRIVI KADREBIT, MAGRAM ARXILOSKALOSI MWVAVED GANICDIAN ASETI KADREBIS NAKLEBOBAS. MASIN, ROCA SOFLIS USAQMUREBI DA PARAZITEBI DILIDAN SARAMOMDE XAN MARJVENA, XANAC MARCXENA FEXZE DAYUDEBULEBI BIRJAS STKEPNIAN, ANDA UMIZNOD DAXETIALOBEN QUCEBSI. AQ USAQMURI MAMAKACI UFRO BEVRIA, VIDRE QALI. ES IMAZE MIGVANISNEBS, ROM ZOGIERTI MAMAKACI COLIS SROMAS EFAREBA, MOKALATEBULA TAVIS SAKARMIDAMO NAKVETSI DA SOFLIS KETILDREOBIT NAKLEBAD INTERESDEBA.

◆ IVRIS NAPIREBZE WAWUNAS TERITORIAZE NADIR-FRINVELI MOMRAVLDA. AMAS ISIC UWYOBS XELS, ROM WAWUNAS SAXELMWIFO SATYEO-SAMONADIREO MEURNEOBAS ZAMTARSI FRINVELIS GAMOSAKVEBAD YOVELTVIS AQVS COCXIS DA SIMINDIS TESLI. SAAMISOD 10 HA MIWA AQVT GAMOYOFILI DA TESAVEN. AM ZAMTARSAC 800 KG SIMINDI HQONDAT. GARDA AMISA, MKACR ZAMTARSI TITQMIS YVELA SAMCVELOSI 4-5 DAUZLUREBULI XOXOBI, KAKABI, AN QEDANI HYAVT XOLME SEFAREBULI. AQEDANAC CANS MWYEMSEBIS FAUNISADMI SIYVARULI. SASARGEBLO NADIR-FRINVELIS MOMRAVLEBAS WAWUNASI IMANAC SEUWYO XELI, ROM EGEREBI XAFANGEBIS SASUALEBIT EBRZVIAN MTACEBEL NADIRS. MAGRAM RAODEN SINDISIS QENJNA IGRZNO EGERMA GOGIA SEXNIASVILMA, ROMELSAC GAZET `AXALI SIRAQIS~ KORESPONDENTMA USANGI WYARUASVILMA DATYVEVEBULI NADIRIS TYAVEBIS GAMOTANA DAAVALA. (IM WLEBSI DAXOCILI MTACEBLIS ODENOBIS DASAMTKICEBLAD TYAVS INAXAVDNEN, LESS KI AGDEBDNEN) GAREULI KATIS, TURIS DA MELIIS TYAVEBTAN ERTAD MAN MACVEBIS TYAVIC GAMOAYOLA. SAXEZE SEATYO UKMAYOFILEBA DA TAVISIVE PIRIT ARIARA, MACVIS MOKVLA KANONIT AKRZALULIAO. AXLA MEORE SAYARAULOS MIVADEQIT DA RAODEN GAKVIRVEBULEBI DAVRCIT, ROCA IQ MOMUSAVE KOLMEURNEEBMA GVITXRES EGEREBI BASA ZNELASVILI DA SOSO BAIDOSVILI SAMI DREA AR DAGVINAXAVSO. RAMXELA UPASUXISMGEBLOBAA ASEULOBIT HEQTARI SAMONADIREO MEURNEOBA RVTIS ANABARA MIATOVO. MAT MAGIVRAD FRINVELISTVIS SAKENKIS GASLASI MOGVEXMARNEN SAQNAVTIS BURRVIS KANTORIS-WITELWYAROS NAVTOBSAZIEBO WYALSAQACIS MUSEBMA. ASE TANDISTAN MRAVLDEBA FLORA DA FAUNA, MAGRAM ZOGIERTI KOLMEURNEOBIS XELMZRVANELEBI NEBAS AZLEVEN TAVIANT MUSEBS MOWRANXEEBI, AMOZIRKVON ZEZVNARI, ASE KI GAMRAVLEBIS, TAVIS GATANIS DA SENAXVIS SASUALEBA ESPOBA NADIR-FRINVELS. WAWUNIS MEURNEOBIS MUSAKEBS DIDI MUSAOBA DASWIRDEBAT, ROM RESPUBLIKASI ERTERTI DIDI MEURNEOBA MOWINAVETA RIGEBSI CAEWEROS.

◆ `SIAMOVNEBAS HGVRIS ADAMIANS, ROCA TELEVIZIA, RADIO DA GAZETEBI WITELWYAROS RAIONIS MSROMELTA WARMATEBIS TAOBAZE MOGVITXROBEN. ASETI MOWINAVE DA AVTORITETULI RAIONIS MSROMELEBISTVIS SASIRCXVILOA ISETI XARVEZEBI, ROMLEBIC RAIME SIZNELESTAN KI ARAA DAKAVSIREBULI, ARAMED UYURADREBOBITA DA UPASUXISMGEBLOBIT ARIS GAMOWVEULI. ES ITQMIS KERZOD ZOGIERTI SAXIS SAGADASAXADO NARCENEBIS ARSEBOBAZE CVENS MOSAXLEOBASI. GVINDA MOGAGONOT, ROM ADGILOBRIVI BIUJETIS SEMOSAVLEBSI GARKVEULI WVLILI AQVS SENOBIS GADASAXADS DA MIWIS RENTAS, RASAC IXDIAN QALAQIS MACXOVREBLEBI, RITAC FINANSDEBA IGIVE MOQALAQEEBIS, SABIUJETO ORGANIZACIEBIS ROGORC XELFASI, ISE SXVA XARJEBI. RGORC YOVELTVIS, WELSAC, TANAXMAD KANONISA, WITELWYAROS TERITORIAZE MCXOVREB MOSAXLEOBASI CASVEBULIA SENOBIS GADASAXADIS, MIWIS RENTIS SAGADASAXADO UWYEBEBI, RAC MOQALAQES AVALEBS TVITON SEITANON SALAROSI MATZE RICXULI GADASAXADEBI VADEBIS MIXEDVIT. MIUXEDAVAD-AMISA, 1975 WLIS 1 APRILIS MDGOMAREOBIT 995 MOQALAQEM AR GADAIXADA TANXA 6 100 MANETI. AMIS SESAXEB RESPUBLIKIS XELMZRVANEL ORGANOEBSI GAIGZAVNA SADEPESO ANGARISI. RWMENA GVAQVS, ROM MOQALAQETA UMRAVLESOBAS MXEDVELOBIDAN GAMOGRCAT DA AMITOM AR GADAIXADET. SESABAMISAD ARNISNULISA, KIDEV ERTXEL MOGAGONEBT, ROM 1975 WLIS SENOBIS GADASAXADI 20 RICXVAMDIS UNDA DAFAROT. GAITVALISWINET ISIC, ROM QALAQAD GADASAXADEBIS XELZE AKREFA AR XDEBA. GADASAXADEBI SEMNAXVEL SALAROSI SEITANET. WINAARMDEG SEMTXVEVASI DAGERICXEBAT SAURAVI,~ - WERS NIKOLOZ SANSIASVILI, WITELWYAROS SAFINANSO GANYOFILEBIS SAXELMWIFO SEMOSAVLEBIS INSPEQCIIS UFROSI.

(STILI DACULIA)

**მოამზადა**
ილია მარტყოფლიშვილმა

# გაერომ შოთა რუსთაველის გამოსახულებით მარკა გამოსცა




გაერომ, საქართველოს პირველი დემოკრატიული რესპუბლიკის 100 წლის იუბილესთან დაკავშირებით, შოთა რუსთაველის გამოსახულებით მარკა გამოსცა. ამის შესახებ ინფორმაცია გაეროში საქართველოს მუდმივმა წარმომადგენლობამ ტვიტერის საშუალებით გაავრცელა.

მარკა გაეროს საფოსტო ადმინისტრაციის მიერ დაიბეჭდა და პოეტის 850 წლის იუბილეს მიეძღვნა. ეს პირველი შემთხვევაა, როდესაც გაერომ შუა საუკუნეებში მოღვაწე პირის სპეციალურ საფოსტო მარკა გამოსცა.

ნიუ-იორკში, გაეროს შტაბბინაში საქართველოს პირველი დემოკრატიული რესპუბლიკის 100 წლისთავისადმი მიძღვნილი ღონისძიება გაეროში საქართველოს მუდმივმა წარმომადგენელმა კახა იმნაძემ გახსნა.

# გურამ დოჩანაშვილი ვაჟა-ფშაველას სახელობის პრემიის ლაურეატი გახდა



საქართველოს პრეზიდენტმა გიორგი მარგველაშვილმა მწერალ გურამ დოჩანაშვილს ვაჟა-ფშაველას სახელობის პრემიის ლაურეატის წოდება მიენიჭა პროზაული ნაწარმოებისათვის „ბრმადყოფილზე, და...“ და ასევე მთელი შემოქმედებითი მოღვაწეობისათვის.

გარდა ამისა, მწერალთა სახლში პრეზიდენტმა შოთა რუსთაველის და საქართველოს ეროვნული პრემიის ლაურეატები დააჯილდოვა. შოთა რუსთაველის სახელმწიფო პრემიის ლაურეატი მოქანდაკე გიორგი შხვაცაბაია გახდა. მუსიკის დარგში პრემია პიანისტ ალექსანდრე კორსანტიას მიენიჭა, თეატრალური ხელოვნების დარგში კი მხატვარ გიორგი ალექსი მესხიშვილს. საქართველოს ეროვნული პრემიის ლაურეატის წოდება მიენიჭათ საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის აკადემიკოსს, ერეკლე გამყრელიძეს და მედიცინის მეცნიერებათა დოქტორს, ბესიკ იაშვილს.

ვაჟა-ფშაველას სახელობის პრემია გაიცემა 2 წელიწადში ერთხელ. პრემია ენიჭება პირს ლიტერატურის დარგში (პროზა, პოეზია, პუბლიცისტიკა) უმნიშვნელოვანესი ნაწარმოებ(ებ)ისთვის, რომელიც მხატვრულ ღირსებათა გამო საერთო ეროვნულ აღიარებას მოიპოვებს და განმსჭვალულია თავისუფლების, ჰუმანიზმისა და პატრიოტიზმის ზოგადსაკაცობრიო იდეალებით. პრემია ითვალისწინებს ფულად ჯილდოს - თითოეულ გამარჯვებულს 5 000 ლარის ოდენობით.

შპს „რეგიონული ჯანდაცვის ცენტრის“ დედოფლისწყაროს თანამშრომლები თანაგრძნობას უცხადებენ გელა ჩიბუხაშვილს და ნონა კობაიძეს შვილის

ნიკა ჩიბუხაშვილის

გარდაცვალების გამო.

უახლოესი მეზობლები: ვახტანგ ზუბიაშვილი, ბესიკ და სპარტაკ ზალდასტანიშვილები, გოჩა ბასილაშვილი, ანზორ შანშიაშვილი, ავთანდილ ლეკაშვილი, მევლუდ გიგოლაშვილი, ვაჟა ბილიაშვილი და ნაირა გორაშვილი ოჯახებით თანაგრძნობას უცხადებენ გია გოგოშვილს და ლალი ალადაშვილს მამის

სულთან გოგოშვილის

გარდაცვალების გამო.

საგანგებო სიტუაციების კოორდინაციისა და გადაუდებელი დახმარების ცენტრის დედოფლისწყაროს რაიონული სამსახური ვასილ სამადაშვილის ხელმძღვანელობით მწუხარებას გამოთქვამენ ნონა კობაიძის და გელა ჩიბუხაშვილის ოჯახის მიმართ შვილის

ნიკა ჩიბუხაშვილის

გარდაცვალების გამო და სამძიმარს უცხადებენ განსვენებულის ოჯახს.

# პურის, ღვინის და ფოლკლორის ფესტივალი

(მესამე გვერდიდან)

26 მაისის ღონისძიება შეაჯამა დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის მერმა ნიკოლოზ ჯანიაშვილმა და „პურისა და ღვინის ფესტივალზე“ მონაწილეთა შორის საუკეთესოები დააჯილდოვა.

სპეციალურმა ჟიურიმ მთელი დღის მანძილზე იმუშავა და შემდეგ ნომინაციებში გამარჯვებულები გამოავლინა. მაშ, ასე:

ნომინაციაში **„ყველაზე კარგი, ხარისხიანი ქართული პური“**

I ადგილი დაიმსახურა ელგუჯა ცისკარაულმა;

II ადგილის მფლობელი გახდა ჟუჟუნა ჯავაშვილი, ხოლო მესამე ადგილი წილად ხვდა ნანა ზანდარიძეს.

ნომინაციაში **„საუკეთესო კახური ღვინო“**

კახური ღვინო(თეთრი):

I ადგილის მფლობელი გახდა თემურ ოზბეთელაშვილი;

II ადგილი დაიმსახურა მაია ლამაზოშვილმა, ხოლო მესამე ადგილზე გავიდნენ მერაბ მაძღარაშვილი და არონი მოსულიშვილი.

კახური ღვინო (წითელი):

I – არხილოსკალო, ბესარიონ წიკლაური II – არბოშიკი, ამბაკო ბაღაშვილი, . ხორნაბუჯი, გოდერძი გონაშვილი

ნომინაციაში **„საუკეთესო ეთნოგრაფიული კუთხე“**

I ადგილი- ქვემო ქედი, II ადგილი- არბოშიკი, II ადგილი-არხილოსკალო

ნომინაციაში **„საუკეთესო მხატვრული ნომერი“**

ადგილები ასე გადანაწილდა:

I - სამთაწყარო

II - გამარჯვება

III - ქვემო ქედი

ნომინაციაში **„დედოფლისწყაროში წარმოებული საუკეთესო პროდუქცია“** გაიმარჯვა სახელოსნო „ფესვებმა“ და მისმა ხელმძღვანელმა ნინო ბახუტაშვილმა;

მეორე ადგილი წილად ხვდა ნიკოლოზ ბენიაიძეს, კომპანია „შირაქის“ წარმომადგენელს, ხოლო მესამე ადგილი – „მოდებაძე და კომპანიას“.

ევროპისა და მსოფლიო ჩემპიონს ჭიდაობა ძიუდოში ლაშა ბექაურს, საქართველოს სახელის ქვეყნის გარეთ გატანისთვის მუნიციპალიტეტის სახელით გადაეცა ჯილდო- 2000 ლარის ოდენობით. ნიკოლოზ ჯანიაშვილმა იმედი გამოთქვა, რომ ლაშა კიდევ არაერთხელ ასახელებს ჩვენს რაიონსაც და ქვეყანასაც.



გალა-კონცერტზე მადლობის სიგელებით დაჯილდოვდნენ კულტურის მუშაკები, რომელთაც განსაკუთრებული წვლილი შეიტანეს დედოფლისწყაროს კულტურის სფეროს განვითარებაში: ქ. დედოფლისწყაროს კულტურის სახლის დირექტორი ცარო მარტიაშვილი, ანსამბლ „მანდილის“ ხელმძღვანელი დალი ელისაშვილი, დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის კულტურისა და ძეგლთა დაცვის ცენტრის თანამშრომელი ნინო ნიკვაშვილი.

კონცერტზე გამოვლინდნენ და დაჯილდოვდნენ მუნიციპალიტეტის სპორტისა და ახალგაზრდობის ცენტრის მიერ ჩატარებული კონკურსის „მე რომ მუნიციპალიტეტის მერი ვიყო“ გამარჯვებულები.

I ადგილი დაიკავა ანა ჩითინაშვილმა, II ადგილის მფლობელი გახდა ნათია პაპუაშვილი, ხოლო მესამე ადგილის-თამარ ბაღიაური.

სამივე მათგანმა მიიღო სამახსოვრო საჩუქარი და წინადადება მუნიციპალიტეტის მერისგან, რომ ერთი დღე გაატარონ მასთან ერთად და იცხოვრონ მერის ცხოვრებით.










## ულოცავენ!

### თამარ მეხრიშვილს!

ოზაანის საჯარო სკოლის პედაგოგს თამარ მეხრიშვილს, ვულოცავთ შვილიშვილის ანასტასიას დაბადებას, ახლადდაბადებულს ვუსურვებთ ბედნიერ ბავშვობის წლებს, კარგ მომავალს და სიკეთით აღსავსე გარემოს. წარმატებულ და გაბრწყინებულ ქვეყანაში ცხოვრებას.

პატივისცემით ოზაანის საჯარო სკოლის დირექცია და პედგკოლექტივი

## ვაკანსია!

გვესაჭიროება მუშახელი სამთაწყაროში, სასურველია, იყოს ახალგაზრდა ოჯახი. სამუშაო დარგი: სოფლის მეურნეობა. დასაქმებულები იქნებიან კვებითა და ბინით უზრუნველყოფილნი, შრომის ანაზღაურება – მაღალი. გამოსაცდელი ვადა –1 თვე. ეს პერიოდი ანაზღაურდება. დეტალური ინფორმაციისათვის დაგვიკავშირდით:

☎ 577 46 26 27 (დარეკეთ საღამოს საათებში).

## ვაკანსია!

ქალაქ დედოფლისწყაროში მდებარე მაღაზია აცხადებს ვაკანსიას **გამყიდველის** პოზიციაზე, მსურველებმა დარეკეთ:

☎599 08 01 28




## ამინდი დედოფლისწყარო

| ორშაბათი 28.05 | | სამშაბათი 29.05 | | ოთხშაბათი 30.05 | | ხუთშაბათი 31.05 | | პარასკევი 01.06 | | შაბათი 02.06 | | კვირა 03.06 | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| დღე | ღამე | დღე | ღამე | დღე | ღამე | დღე | ღამე | დღე | ღამე | დღე | ღამე | დღე | ღამე |
| 21 ° | 17 ° | 18 ° | 12 ° | 13 ° | 12 ° | 18 ° | 16 ° | 20 ° | 19 ° | 22 ° | 18 ° | 22 ° | 21 ° |


გამომცემელი შპს „შირაქი“
დირექტორი ინგა შიოლაშვილი
რედაქტორი **ნაირა გორაშვილი-პოპიაშვილი**
წერილში მოყვანილ ფაქტებსა და ციფრებზე პასუხს აგებს ავტორი.

სარედაქციო კოლეგია: ლალი მეხრიშვილი, ილია მარტყოფლიშვილი (ჟურნალისტები) ; ელზა ხარაშვილი (სტილისტ-მენეჯერი); ნათელა ბოსტაშვილი (ბუღალტერი) ; ნიაზი ჯანაშვილი (ოფის-მენეჯერი) ; მზია ქენქაძე (დისტრიბუტორი); ზურაბ ბუწაშვილი (კომპიუტერული უზრუნველყოფა).
გაზეთი აიწყო და დაკაბადონდა „შირაქის“ კომპიუტერულ ბაზაზე.
ყოველკვირეული გამოცემა იბეჭდება შ.პ.ს „სამშობლოს“ სტამბაში.

რედაქციის მისამართია: ქალაქი დედოფლისწყარო, ფიროსმანის №18, ტელ. 0 356 22 55-49; 598 72-18-72 (დირექტორი) 591-97-73-26 (რედაქტორი)

რეგისტრირებულია დედოფლისწყაროს რაიონის სასამართლოს მიერ, №6014-468.